გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

გვ.4

როგორი იქნება ახალი წელი ზოდიაქოს ნიშანთათვის

სამშაბათი, 3 იანვარი, 2023 №1 (9037) ფასი: 80 თეთრი

„საახალწლო სუფრა შარშანდელთან შედარებით 85%-ით ძვირი ჯდება“

გვ.2

ოთო აბესაძე: „საქართველოში შემოსული ფულის 73%-ზე მეტი ემიგრანტებზე მოდის“

გვ.3

წელს უკრაინის გამარჯვებას და რეგიონში დიქტატორული რეჟიმების ნგრევას ვარაუდობენ

რა მოლოდინია საქართველოში?

„შეგვიძლია ვთქვათ, რომ გრიპის ეპიდემიაა“

გვ.3

ვატო სურგულაძე: „ჯანდაცვის სამინისტრომ საერთოდ არ იცის, რას აკეთებს“

„თავდაცვის სამინისტროში ბევრი არაპროფესიონალია“

გვ.2

ვახტანგ მაისაია: „გასული წელი ძალიან რთული წელი იყო, რადგან ერთდროულად რამდენიმე სამხედრო კონფლიქტმა ვულკანივით იფეთქა“

გვ.5

ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე „ვივამედის“ დირექტორ ნინო ნადირაძის წინააღმდეგ სამართლებრივი დავის დაწყებას აპირებს

გვ.5

სისხლიანი გარჩევა „ლაგუნა ვერესთან“ — სასამართლომ 13 პირი დამნაშავედ ცნო

5 უპატრონო კატა ქალს თავს დაესხა და სერიოზული დაზიანებები მიაყენა

6 ნანა ფაჩუაშვილი 80 წლის გახდა

6 როგორ წარიმართება 2023 წელს რუსეთ-უკრაინის ომი?

5 გენერალი სუროვიკინი გაგიჟდა

1993230720223

„საახალწლო სუფრა შარშანდელთან შედარებით 85%-ით ძვირი ჯდება“

ოთო აბესაძე: „საქართველოში შემოსული ფულის 73%-ზე მეტი ემიგრანტებზე მოდის“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ოთო აბესაძე პასუხობს.

– ოთო, შევაფასოთ განვლილი წელი. ეკონომიკური თვალსაზრისით როგორი იყო 2022 წელი? რა ტენდენციები გამოიკვეთა, რაზე გაამახვილებდით ყურადღებას?

– 2022 წელი, ეს იყო ეკონომიკური ტურბულენტობის წელი, რომელიც გამოწვეული იყო ინფლაციით, მონეტარული კრიზისით, სავალუტო რყევებით და ა.შ. განსაკუთრებული ტენდენცია იყო ფასების ზრდის კუთხით და თავისთავად ამ წელს შევაფასებდი, როგორც ეკონომიკური ტურბულენტობის წელი.

– ხელისუფლება სულ სხვაგვარად აფასებს და აცხადებს, რომ გვაქვს ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. კი, შემოვიდა დიდი ოდენობით თანხები, მაგრამ ეს რა ნაკადსაც მოყვა, ყველამ კარგად ვიცით. ამან შეცვალა ეკონომიკური სურათი?

– ეს ფული არ იყო განკუთვნილი ეკონომიკური კეთილდღეობისთვის. ეს ფული განკუთვნილი იყო და თავიდან ბოლომდე ემსახურებოდა იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებმაც შემოიტანეს და მერე ეს ფული ისევ გაიტანეს უკან. ანუ ეს არ იყო საინვესტიციო ფული. ეს იყო სატრანზიტო ფული.

– მაშინ რამ გამოიწვია ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში? ან პრემიერს საიდან მოაქვს ეს ციფრები?

– ორნიშნა ეკონომიკური ზრდა ქვეყანაში გამოწვეულია ზრდის ტემპის პარამეტრით და არა ზრდით. ეკონომიკა გაიზარდა პანდემიის პერიოდთან შედარებით და ეს ბუნებრივია. იმ დონეზე დიდი ეკონომიკური ჩავარდნა გვქონდა საქართველოში 2020-2021 წლებში, ბუნებრივია, 2022 წელს მივიღებდით ორნიშნას. ლოკდაუნის შემდგომ ნებისმიერი ეკონომიკური აქტივობა აისახება საკმაოდ აგრესიულად. მორჩა, მეტი არაფერი არ ხდება.

– საშუალო ხელფასი 1.600 ლარს გაცდაო და ესეც ინფლაციის ნაწილია?

– რა თქმა უნდა, ასეა. ზოგადად ხელფასის ზრდა უნდა მიყვებოდეს ფასების ზრდას. სამწუხაროდ, საქართველოში გვაქვს ხელფასების ზრდა ფასების არაპროპორციულად. ეს არის თავიდან ბოლომდე ინფლაციური ნაზარდი. ინფლაციამ გამოიწვია ფასების ზრდა და ამან გამოიწვია ჭარბი ფული, რომელიც რეფინანსირების განაკვეთით და სხვადასხვა გაზრდილი გადასახადების ხარჯზეა, სამწუხაროდ. გადასახადები ციფრობრივად არ გაზრდილა საქართველოში, ისევ იგივე პროცენტებია, მაგრამ რაოდენობაში გაიზარდა. მაგალითად, თუ ერთ პურს ვყიდულობდით და ღირდა ერთი ლარი, მაშინ დამატებით ღირებულების გადასახადს ანუ დღგ-ს ვიხდიდით 18 თეთრს. ანუ 18%-ს. დღეს, როცა პური ორი ლარი ღირს, რა გამოდის რომ გადასახადი ჩვენთვის პროცენტულად დარჩა იგივე, მაგრამ რეალურად ვიხდით ორჯერ მეტს.

– შეიძლება ითქვას, რომ უფრო ღარიბები ვართ?

– რა თქმა უნდა. საქართველოში, სამწუხაროდ, 2022 წელი იყო მცურავი გადასახადების წელი, ოღონდ მცურავი მზარდი. თუ ერთ პურში გადასახადს სახელმწიფოს ვუხდიდით 18 თეთრს, ახლა ამაში ვიხდით 36 თეთრს. არის თუ არა ეს გაზრდილი გადასახადი? რა თქმა უნდა, არის, ოღონდ ამას ასე ციფრობრივად არავინ არ ახსნის. რეალურად დღგ გაგვიორმაგდა. გაგვიორმაგდა ინფლაციის გამო. ინფლაციის, რომელმაც გაზარდა ფასი და ამის ფონზე, ჭარბი ფულის მასის ამოღების ფონზე, გადასახადიც მეტი შედის ბიუჯეტში. რეფინანსირების განაკვეთი სესხებზე გაზრდილია.

– ეს გაზრდილი ხელფასიც არ შველის, ღარიბია მოსახლეობა და უკიდურესად გაჭირვებული. თითქოს სავსეა მოლები და სავაჭრო ცენტრები, მაგრამ ძირითადად რუსებით და უკრაინელებით.

– საახალწლო პერიოდში ყოველთვის სავსეა მოლები და მარკეტები. თქვენ ნუ გავიწყდებათ, რომ საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 73%-ზე მეტი მოდის ემიგრანტებზე. განსაკუთრებით ეს ფული ლიკვიდური ხდება საახალწლო სადღესასწაულო პერიოდში, როდესაც ადამიანები ყიდულობენ საჩუქრებს და სურსათს. ტრადიციების ქვეყანა ვართ და გვიყვარს საახალწლო სუფრები და ასე შემდეგ. ამაში ადამიანები ბევრ ფულს ხარჯავენ. ეს იქნება დანაზოგი, ეს იქნება გამოგზავნილი ფული თუ რაც არ უნდა იყოს, იხარჯება. სწორედ ამან განაპირობა და გამოიწვია ის, რომ გვაქვს ხალხმრავლობა მოლებში. რეალურად, ეკონომიკური პარამეტრებით რომ შევაფასოთ სიტუაცია, საახალწლო პერიოდი არ გამოდგება ამის შესაფასებლად.

– აბა რა გამოდგება? საახალწლო სუფრა?

– დიახ, ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ საახალწლო სუფრის ფასი, რომელიც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით დაახლოებით 85%-ით არის გაზრდილი და გაძვირებული. ანუ შარშან, ახალ წელს რაც ჯდებოდა საშუალო სტატისტიკურად საახალწლო სუფრა, დღეს ზუსტად იგივე ჯდება 85%-ით ძვირი.

– ინფლაციაზე რას იტყვით? როგორი მაჩვენებელი გვექნება მომავალ წელს. დაიკლებს ინფლაციის დონე?

– აი ეს არის მორიგი აბსურდი, რომელსაც გვთავაზობს მთავრობის ეკონომიკური გუნდი და რა იგულისხმება ამ აბსურდში. ინფლაცია დაიკლებს, დაიწყება კლების ტენდენცია და ასე შემდეგ, ეს არის თეორიული მსჯელობა და მკითხაობა. რაც არ უხდება ეკონომიკას. ეკონომიკას ახასიათებს დროის ეფექტი და რეფორმებზე დაფუძნებული პროგნოზები. გასულ 6 თვეში, გასულ ერთ წელში, რომელი საგადასახადო რეფორმა ან მონეტარული პოლიტიკა გავატარეთ, რომლის გამოც ველოდებით ინფლაციის დასტაბილურებას?! რაღაც ეგეთი არ მახსენდება. ინერციას მიყვება ეკონომიკაც, ინფლაციაც და მონეტარული პოლიტიკაც. როცა მიყვები ინერციას, ძნელია გააკეთო პოზიტიური პროგნოზი.

– წლის მიწურულს პრემიერმა დაგვიანონსა, რომ ანაკლიის პორტის საკითხი გააქტიურდება და საკმაოდ მომგებიანი პროექტიც იქნებაო. რას იტყვით ამაზე?

– ეს ძალიან დაგვიანებულია. ეს რომ თავის დროზე გაკეთებულიყო, დღეს, რუსეთ-უკრაინის ომის პერიოდში, უკვე სახელმწიფოს ექნებოდა ახალი ეკო-პოლიტიკური წერტილი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკურ რუკაზე. ახლა ვიღებთ რეალობას, რომ ფაქტიურად გადანაწილებულია სატრანზიტო და სატრანსპორტო დერეფნები, მოკლედ, ძალიან დაგვიანებულია და ეს არის სერიოზული პრობლემა.

– საწვავზე ფასმა საგრძნობლად დაიკლო. ზოგადად პროდუქტების ფასებზე დიდ გავლენას ახდენს ხოლმე საწვავის ფასი. საწვავის ფასის კლებასთან ერთად, რატომ არ იკლებს ფასები პროდუქტებზე?

– იმდენად არასტაბილური და ტურბულენტური ეკონომიკური და მონეტარული პოლიტიკაა ქვეყანაში, რომ ძალიან ძნელია ადამიანმა, ბიზნესმენმა, იმპორტიორმა და ექსპორტიორმა განსაზღვროს გრძელვადიანი ფასი. ამიტომ ნებისმიერი იმპორტიორი ცდილობს, რომ დაიჭიროს მაქსიმალური ფასი, რათა შეამციროს საკუთარი რისკები. აქედან გამომდინარე, ფასების შემცირება არ იგეგმება.

„თავდაცვის სამინისტროში ბევრი არაპროფესიონალია“

ვახტანგ მაისაია: „გასული წელი ძალიან რთული წელი იყო, რადგან ერთდროულად რამდენიმე სამხედრო კონფლიქტმა ვულკანივით იფეთქა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.

– ბატონო ვახტანგ, მოგეხსენებათ, განვლილი წელი ძალიან ტრაგიკული იყო უკრაინელებისთვის და არანაკლებ სხვებისთვისაც, რადგან რუსეთთან ამ უთანასწორო ომში ჩვენგანაც იბრძოდნენ და სხვა ქვეყნებიდანაც. განვლილ 2022 წელს როგორ აფასებთ?

– გასული წელი ძალიან რთული წელი იყო, გეოსტრატეგიულადაც რთული იყო, რადგან ერთდროულად რამდენიმე სამხედრო კონფლიქტმა ვულკანივით იფეთქა. პირველი – აბსოლუტურად მოულოდნელი და შემაძრწუნებელი უკრაინაზე თავდასხმა იყო. ეს რუსეთმა ყოველგვარი გაფრთხილებისა და პრელუდიის გარეშე, მუხანათურად გააკეთა.

რუსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოში შეიჭრა და დღესაც ის უკრაინელებისა და უკრაინის გენოციდს ახორციელებს. ეს ომი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ალბათ საკმაოდ ხანგრძლივი ომი იქნება.

– კავკასიაში როგორი ვითარება შეიქმნა?

– კავკასიაში, ჩვენს სამეზობლოშიც დაიძაბა სიტუაცია. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის საომარი მდგომარეობა იყო. აზერბაიჯანსა და ირანს შორისაც გართულდა ვითარება. ამავე დროს, ცენტრალურ აზიაშიც ლოკალური ომის რეციდივები იყო. ყაზახეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას ჰქონდა ადგილი. ყირგიზეთსა და ტაჯიკეთს შორის საომარი მოქმედებები დაიწყო.

ავღანეთშიც რთული პერიოდი იყო. ირანშიც მოეწყო შეიარაღებული გამოსვლები ადგილობრივი რეჟიმის წინააღმდეგ. აფრიკაშიც სერიოზული თავდასხმები განხორციელდა. ისლამურმა სახელმწიფომ თავისი ქმედებები გააააქტიურა და, ფაქტობრივად, აფრიკის კონტინენტი მთავარი დარტყმის ობიექტი გახადა. ახლო აღმოსავლეთსა და სპარსეთის ყურეშიც სერიოზული დაპირისპირება იყო.

ლათინურ ამერიკაშიც ადგილობრივი ნარკოკლარტელებისა და ხელისუფლებების წარმომადგენლები ერთმანეთს სერიოზულად დაუპირისპირდნენ კოლუმბიაში, პერუსა თუ სხვაგან. სიტუაცია კოსოვოშიც დაიძაბა, გეოსტრატეგიული კუთხით საკმაოდ რთული ვითარებაა.

ჩრდილოეთ კორეამაც ვითარება დაძაბა. ბალისტიკური რაკეტები გამოსცადა. მესამე ქვეყნების მიმართ რთულ და დაშინების პოლიტიკას ახორციელებს, იგივე იაპონიის, სამხრეთ კორეისა და სხვათა მიმართ. სამხრეთ კორეაზე ჰიბრიდული შეტევის იმიტაცია განახორციელა. 4 მაისს უპილოტო სამხედრო თვითმფრინავმა, ფაქტობრივად, სეულამდე მიაღწია. ამდენად, მთელ მსოფლიოში რთული ვითარება იყო.

– ეს სურათი რას გვეუბნება?

– ეს სურათი გვეუბნება, რომ დაპირისპირებები გლობალურ ხასიათს იღებს. ძალიან მოწყვლადი ვითარებაა. უკრაინის ომის შედეგად ვითარების მეტად დრამატიზება მოხდა, რადგან ბირთვული დაშინების პოლიტიკაც განხორციელდა. შეეცადნენ ამერიკელებთან ერთად ერთ მხარეზე დადგომას. მოწინააღმდეგეები არიან, მაგრამ ერთ მხარეზე დადგნენ და პუტინი აიძულეს, ბირთვული დაშინება შეეჩერებინა. ესეც საინტერესო ფაქტია.

ამდენად, ეს წელიც გასული წლის გაგრძელება იქნება. უკრაინაში დრამატული სიტუაციის გაგრძელებას უნდა ველოდოთ. სამწუხაროდ, წელსაც კავკასიაში როგორი სიტუაცია იქნება, არავინ იცის. ამიტომ საკმაოდ რთული წელი გველოდება.

– თქმა არ მინდა, მაგრამ ეს ყველაფერი მესამე მსოფლიო ომის შესავალს ხომ არ წარმოადგენს? იმდენად დაძაბულია ვითარება თვითონ ქვეყნებს შორის და ქვეყნების შიგნითაც.

– რა თქმა უნდა. სამწუხარო რეალობა ასეთია.

– ამ წლის დასაწყისში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ უკრაინამ რუსეთის ტერიტორიაზე შეუტია. სოციალურ ქსელში ხუმრობდნენ, ისეთი განგაში იყო წითელ მოედანზე, ლენინი ისე გარბოდა, ვერ აკავებდნენო. რეალურად, რა ვითარება იყო, ომის თეატრმა რუსეთის ტერიტორიაზე გადაინაცვლა?

– არა. ეგ გადაჭარბებული ვარიანტია, მაგრამ მოსკოვში გააძლიერეს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა. სპეციალიზებული ოპერატიული შენაერთები შექმნეს. ახალ წელს უკრაინელებმა რუს ოკუპანტებს სერიოზული დარტყმა მიაყენეს. ოკუპირებულ ტერიტორია მაკეევკაში საარტილერიო ცეცხლი გახსნეს. ჰამერსებით დარტყმის შედეგად დაახლოებით 300-400 რუსი ოკუპანტია დაღუპული, მათ სამხედრო ობიექტზე პირდაპირი დარტყმა განხორციელდა.

ასევე უკრაინელებმა რუსების სამხედრო-საჰაერო ბაზას შეუტიეს, სადაც რუსული თანამედროვე სუ-34-ები იყო განთავსებული. უკრაინელებმა ახალი წელი აქტიური შეტევებით დაიწყეს. როგორ განვითარდება მოვლენები, ამას დრო გვიჩვენებს. ასე რომ, მდგომარეობა ძალიან რთულია.

– მომავალში რას ელოდებით, შეიძლება უკრაინელების მხრიდან შეტევები კიდევ გაგრძელდეს და რუსების მიერ ოკუპირებული ტერიტორიები დაიბრუნონ?

– ყველაფერია მოსალოდნელი. ყველაფერი გასათვლელია, არაფერია ისეთი, რაც შეიძლება მოულოდნელი იყოს. ეს ყველაფერი ერთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. იმედია უკრაინელები შეძლებენ კიდევ ერთ გარდატეხას და კიდევ ერთხელ ვითარების მათ სასარგებლოდ შემობრუნებას, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტია. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები, რთულია ვილაპარაკოთ როგორც ერთი, ისე მეორე მიმართულებით.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ფინანსთა სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

რა მოლოდინია საქართველოში?

წელს უკრაინის გამარჯვებას და რეგიონში დიქტატორული რეჟიმების ნგრევას ვარაუდობენ

მარიამ მჭედლიშვილი

2023 წლის პერსპექტივების მიმართ საქართველოში ერთიანი დამოკიდებულება არ იკვეთება. საქართველოს საზოგადოების ნაწილი იმედებს ქვეყნის ევროკავშირის კანდიდატობას და ეკონომიკურ პროექტებს უკავშირებს, ნაწილი – სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ზოგი – ექსპრეზიდენტის ციხიდან გათავისუფლებას და ხელისუფლების შეცვლას. მოსახლეობის უმრავლესობა ელის უკრაინის გამარჯვებას სასტიკ ომში, პროკრემლისტური უმცირესობა – რუსეთის გამარჯვების მოლოდინშია. წლის ბოლო დღეები გამოირჩა ურთიერთობის გამძაფრებით პრეზიდენტ ზურაბიშვილსა და მმართველ გუნდს შორის. პრეზიდენტმა თავის განმარტებებში ხელისუფლებისა და ოპოზიციის ერთიანი და ურთიერთშეთანხმებული თამაშიც ახსენა. ამ მხრივ, მიმდინარე წელს კვანძის გახსნას უნდა ველოდოთ.

რა ძვრები მწიფდება ევრაზიის რეგიონში? რა შეცდომები აღარ უნდა გაიმეოროს აშშ-მ? რა საშიშროებას ქმნის პუტინის რუსეთის კავშირი სხვა დიქტატორულ რეჟიმებთან? რა კავშირი აქვს უკრაინის ომს წინანდელ მოვლენებთან? ამ და სხვა საკითხებზე ბელარუსულ თავისუფალ მედიას ესაუბრა ლუკაშენკოს მოწინააღმდეგე აქტივისტი, სამოქალაქო კამპანია „ევროპული ბელარუსის“ ლიდერი ანდრეი სანიკოვი.

მისი აზრით, თუ დასავლეთი მკაფიო და მკაცრ პოზიციას დაიკავებს პუტინისა და მისი მოკავშირე დიქტატორების მიმართ, რუსეთის აგრესია დამთავრდება, რეგიონში კი ბოლო მოეღება რუსეთის გავლენას და დამყარდება დემოკრატია.

ანდრეი სანიკოვი:

– 2022 წელი ყველაზე საშინელი იყო ბელარუსისა და მთლიანად ჩვენი რეგიონისათვის, პირველ რიგში, უკრაინაში ომის გამო. ფაქტობრივად, ეს ომი დაიწყო 2020 წელს ბელარუსში ყველაზე არაადამიანური და სასტიკი რეპრესიებით, რომლებიც დღემდე გრძელდება. სწორედ ბელარუსის პროტესტების დარბევამ მიგვიყვანა ომამდე უკრაინაში. პუტინმა უკრაინაზე თავდასხმა შეძლო ლუკაშენკოს რეჟიმის დახმარებით, რომელმაც ბელარუსის ტერიტორია რუსულ ჩექმას დაუთმო.

– გასული წელი რთულიც იყო პუტინისა და ლუკაშენკოს რეჟიმებისათვის. როგორ ფიქრობთ, 2022 წელმა მიაახლოვა ბელარუსები თავისუფლებას თუ დააშორა მას?

– ერთი მხრივ, ყველაზე რთული წელი იყო, მეორე მხრივ, ამ საშინელი ომით უკრაინაში და რეპრესიებით ბელარუსში მუწუკი გასკდა. გამოაშკარავდა, რომ მისი მოშორება საჭიროა ქირურგიული მეთოდით. მანამდე გამოყენებული სამკურნალო მეთოდების შედეგად ეს ჩირქგროვა უფრო იზრდებოდა. პუტინისა და ლუკაშენკოს რეჟიმები სარგებლობდნენ იმით, რომ ამ ორმაგი მუწუკის მკურნალობას ცდილობდნენ შელოცვებით და არა თანამედროვე საშუალებებითა და ინსტრუმენტებით.

ახლა საჭიროა ნორმალური ექიმები, რომლებმაც იციან, რომ პრობლემის ძირი უნდა მოთხარონ, შედეგებს კი არ ებრძოლონ. ასეთი ექიმები არიან აშშ-ში, ნატოში. იმედი მაქვს, ბაიდენი არ გაიმეორებს თავისი ყოფილი ბოსის – ობამას შეცდომებს. ობამამ, ავანსად მიიღო რა ნობელის მშვიდობის პრემია, გაიყვანა აშშ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის საკითხებში ლიდერის პოზიციიდან. მისი გაუბედაობა გახდა კრიზისების გამწვავების მიზეზი მსოფლიოს ბევრ რეგიონში. დღეს აშშ და დასავლეთი გამოხატავენ მზადყოფნას, გააქრონ აშკარა საფრთხე. მომხდარმა ყველას გააცნობიერებინა, თუ რამდენად საშიშია ეს რეჟიმები. ყველა მიხვდა, რომ უსაფრთხოება მოითხოვს სერიოზულ დანახარჯს. ეს ხარჯები უკრაინელების მსხვერპლის თანაზომადი არ არის. რუსეთის წინააღმდეგ სანქციები მნიშვნელოვნად უნდა გამკაცრდეს. ბუნებრივია,

„თუ არ მიეხედა ჩირქგროვას კრემლში, ის ევროკავშირის ტერიტორიას გადაედება“

რომ სანქციები უარყოფითად აისახება დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკაზე, მაგრამ ეს ის ფასია, რომელიც უსაფრთხოებაში უნდა გადაიხადო.

– 2020 წელს მოხდა პუტინისა და ლუკაშენკოს, ასევე ირანისა და ჩრდილოეთ კორეის რეჟიმების კონსოლიდაცია. დიქტატორები ერთმანეთში ცვლიან იარაღს, ერთმანეთს უთმობენ ტერიტორიას. გაქვთ თუ არა ოპტიმიზმი, როცა უყურებთ დასავლეთის რეაქციას ამ პროცესებზე?

– ამას ფხიზლად ვუყურებ, ვინაიდან ქვეყნებს, რომლებიც წარმოადგენენ დემოკრატიას, უკან დახევისა და ღალატების გზები აღარ დარჩათ. თუ არ მიეხედა ამ ჩირქგროვას კრემლში, ის ევროკავშირის ტერიტორიასაც გადაედება. ირანში მიმდინარეობს სახალხო რევოლუცია. ირანელ ხალხს დახმარება სჭირდება. რელიგიური ფანატიკოსების რეჟიმის დამხობა ირანში ხვალინდელი კი არა, დღევანდელი დღის ამოცანაა. აი, მაშინ ირანული დრონების პრობლემა, რომლებსაც რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ იყენებს, თავისთავად იხსნება.

წინათ დასავლეთს ეგონა, რომ სწორი გზიდან გადახვევა შეეძლო: ეკეთებინა ბიზნესი, ენახა სარგებელი და მხარი დაეჭირა დიქტატურებისთვის. რეალურად, ეს შეუძლებელია. ამას ომამდე მივყავართ. ახლა ბირთვული ომის ზღვართან იმის გამო ვდგავართ, რომ არ ყოფილა რეაქცია. მარტო ჩვენს რეგიონში რუსეთის აგრესია განხორციელდა 2008 წელს საქართველოში, 2010 წელს ბელარუსში, 2014 წელს უკრაინაში, 2020 წელს ბელარუსში, 2022 წელს უკრაინაში. ომი ახალი ძალით იფეთქებს, თუ ისინი (დასავლეთის სახელმწიფოები) წავლენ დათმობებზე კრემლის მიმართ. ბაიდენის პოლიტიკის შეცდომების ფასი მრავალჯერ გაიზარდა. იმედი მაქვს, რომ ეს ახალი გარემოება განაპირობებს პასუხისმგებლიან გადაწყვეტილებებს.

– 2022 წელი დაიწყო პროტესტებით ყაზახეთში. მაშინ თქვენ ლაპარაკობდით იმპერიული გავლენისგან გათავისუფლების ახალ ტალღაზე ჩვენს რეგიონში. როგორ მოქმედებს ამ პროცესებზე ომი უკრაინაში?

– ეს პროცესის ნაწილია. საბჭოთა კავშირის დაშლა არ ნიშნავდა იმპერიისა და მისი სატელიტების ნგრევას. უკრაინა მყარად მოძრაობდა ევროპის, დემოკრატიის, ეკონომიკაში რეფორმების მხარეს. რუსეთის მოქმედებების პროვოცირება ამან მოახდინა. აშკარაა, რომ ეს ბრძოლა გრძელდება. ის მოიცავს წინააღმდეგობას შუასაუკუნეობრივი რეჟიმების მხრიდან.

– 2023 წლის შესახებ როგორია თქვენი პროგნოზი?

– გარდატეხას ველი. უკრაინა დღეს ლოკომოტივია აღმოსავლეთ ევროპის გასათავისუფლებლად დესპოტიისგან, იმპერიებისა და დიქტატურებისგან.

წელს ვნახავთ გარდატეხას იმ განმათავისუფლებელ ომშიც, რომელსაც უკრაინელები აწარმოებენ და რომელშიც ბელარუსებიც იბრძვიან და დიქტატორული რეჟიმების ნგრევაშიც.

„შეგვიძლია ვთქვათ, რომ გრიპის ეპიდემიაა“

ვატო სურგულაძე: „ჯანდაცვის სამინისტრომ საერთოდ არ იცის, რას აკეთებს“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ჯანდაცვის ექსპერტი ვატო სურგულაძე პასუხობს.

– ბატონო ვატო, ვირუსების პიკი გვაქვს და ამ ფონზე მედიკამენტების სერიოზული დეფიციტია აფთიაქებში, რა ხდება, ხელოვნური კრიზისია თუ რასთან გვაქვს საქმე?

– სახელმწიფოსთან და მის უპასუხისმგებლობასთან გვაქვს საქმე. მოდით დავიწყოთ იქიდან, რომ ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობამ საგრძნობლად მოიმატა. ეს განპირობებულია რუსების და უკრაინელების ჩამოსვლით. უმეტესობა არიან ბავშვებთან ერთად ჩამოსულები. პრაქტიკულად ექიმი არავის ჰყავს, ყველა თვითნებურად ინიშნავს მედიკამენტებს, ეს ძირითადად სიცხის დამწევებს ეხება. ბაზარი არ იყო ამდენ ადამიანზე გათვლილი, ვერ გათვალეს რისკები. ბევრი კომპანია თავს იკავებს, რომ შემოიტანოს ძვირადღირებული და ხარისხიანი მედიკამენტები, რადგან შემდეგ ჭერს თუ დაუწესებენ, მაგ ფასად ვერ გაყიდიან და ამიტომაც ელოდებიან, რა ჭერი იქნება მედიკამენტებზე დაწესებული. ამიტომაც ეს მომენტია. ამხელა ჯანდაცვის სამინისტრომ, ყველაზე მეტი ადამიანი იქ მუშაობს, უნდა გააკეთოს ანალიტიკა.

– უნდა გაეთვალათ ეს რისკები?

– რასაკვირველია! უნდა გაეთვალათ. როცა საჭიროა, ხომ კარგად ეძახიან ამ ფარმაცევტულ კომპანიებს. დაეძახათ ახლაც და გაევლოთ ერთად ყველა საკითხი. ოჯახის ექიმის ინსტიტუტიც არ არსებობს, არავინ არ მიმართავს მას, თვითონ მიდიან და თვითნებურად ყიდულობენ ამ წამლებს. ყიდულობენ არა შესაბამისი რაოდენობით. დეფიციტის სწორედ ეს ორი მიზეზია: ერთი, ამ ჭერის შემოღება და მეორე, რომ მოიმატა მოსახლეობამ, რაც, სამწუხაროდ, ვერ გათვალეს.

– ვირუსებზე რას იტყვით, ყველაზე მეტად რომელი ვირუსი ცირკულირებს? ან რამდენად რთული სიტუაციაა?

– ეს არის გრიპის ვირუსი ა და ბე ტიპის, აქ არის ასევე რესპირაციული ვირუსი, რომელიც ფილტვების დაზიანებას იწვევს. ძირითადად ეს ორი ვირუსია. განსაკუთრებული არაფერია, ყოველ ზამთარს ერთი და იგივე ხდება. გასულ ზამთარს და იმის წინ რატომ არ ხდებოდა? იმიტომ, რომ პირბადეებით დავდიოდით და დისტანციას ვიცავდით. ვინაიდან ეს აღარ ხდება, იფეთქა ვირუსებმა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაქტიკულად ეპიდემიაა. ვიტყვი ხაზგასმით, რომ ანტიბიოტიკების მიცემა არ შეიძლება, თუ არ არის დამტკიცებული, რომ ეს არის ბაქტერიული ფილტვების ანთება. ვირუსს ანტიბიოტიკი ვერ მკურნალობს.

– ყველაზე მეტად სწორედ ანტიბიოტიკების დეფიციტია აფთიაქებში.

– ზუსტად ეგაა საქმე, რომ ანტიბიოტიკს უნდა ნიშნავდეს მხოლოდ და მხოლოდ ექიმი. ჩვენთან კი რა ხდება, ყველა თვითნებურად ყიდულობს ანტიბიოტიკს. არადა, ექიმმა უნდა გადაწყვიტოს, კონკრეტულ შემთხვევაში სჭირდება ანტიბიოტიკი თუ არ სჭირდება. ანტიბიოტიკი ეს არ არის ცე ვიტამინი, რომ შენს ნებაზე სვა და არაფერი გავნოს. დიდი რაოდენობით ცე ვიტამინმაც შეიძლება პრობლემები შექმნას. პირველადი ჯანდაცვის არარსებობა იწვევს იმას, რაც ხდება საქართველოში.

– ამ ტალღის კლებას როდიდან ელოდებით?

– ეს არ დაიკლებს. მარტამდე ასე გაგრძელდება. რაც უფრო აცივდება, ვირუსები მით მეტად მოიმატებს. ჩვენ კი მზად არ ვართ ამისთვის. ჯანდაცვის სამინისტრომ საერთოდ არ იცის, რას აკეთებს. დაავადებათა კონტროლის სამსახურსაც არ ყავს დირექტორი, სანამ გამყრელიძე იყო, კიდევ არა უშავდა. თამარ გაბუნია კი ამ საკითხში დიდად ვერ ერკვევა.

„თავდაცვის სამინისტროში ბევრი არაპროფესიონალია“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– სხვათა შორის, ზოგიერთი სამხედრო ექსპერტი ამბობს, რომ დასავლეთი უკრაინას არასაკმარისად დაეხმარა, თქვენი შეფასებით, როგორ დაეხმარა დასავლეთი უკრაინას და როგორია მომავალში დახმარების მზაობა იმისათვის, რომ ომში თავის სასარგებლოდ გარდატეხა მოახდინოს? ომის იმ თეატრში, სადაც საომარი მოქმედებები მიმდინარეობს, ახლა ისეთი სიტუაციაა, უპირატესობა ბრძოლებში ვერც უკრაინამ მოიპოვა და ვერც რუსეთმა.

– დასავლეთი საკმაოდ მძლავრად ეხმარება უკრაინას, ახლა ამერიკის მხრიდან დახმარება გაიზარდა. ამერიკამ თავისი თავდაცვის ბიუჯეტიდან, რომელიც 842 მილიარდ დოლარს შეადგენს, უკრაინას 44 მილიარდი დოლარი გამოუყო. სერიოზული დახმარებაა. ჩვენთვისაც 132 მილიონი დოლარია გამოყოფილი სამხედრო რეფორმების ჩასატარებლად, თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად.

ადრე უკრაინისთვის დახმარება მაქსიმუმ 22 მილიარდს შეადგენდა, რომელიც ახლა გაორმაგდა. წელს 44 მილიარდის გამოყოფა სერიოზული დახმარებაა. „პეტრიოტის“ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის გადაცემაზეა საუბარი. თუმცა, დასავლეთის დახმარებაც გარკვეულ ზღვრამდეა მისული. მათი დახმარებაც გარკვეულ ლიმიტამდეა. მათაც გარკვეული შეზღუდვები აქვთ. ესეც უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ 44 მილიარდი დოლარი ძალიან სერიოზული დახმარებაა.

– 44 მილიარდი მხოლოდ ამერიკიდანაა. ალბათ, ევროპასაც თავისი დახმარების ლიმიტი აქვს.

– იმედია ვილნიუსის ნატოს სამიტი საინტერესო გადაწყვეტილებებს მიიღებს.

– გასულ წელს მუდმივი საუბრები იყო იმაზე, რომ საქართველო უკრაინას ღიად მიმხრობოდა და აფხაზეთსა და ცხინვალში რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩართულიყო. ამაზე ღია მოწოდებები იყო, რასაც, ალბათ, შიდა დინებებიც თან ახლა. ჩვენ რომ არ გვაქვს საჰაერო თავდაცვის საშუალებები, ცხადია. რაც გვქონდა – სამხედრო ავიაციის სტრუქტურა, ისიც საკაშვილის დროს გააუქმეს – განადგურდა. რამდენად ვიყავით და ვართ მზად, რომ ჩვენ კი არ დავიწყოთ, მაგრამ რუსეთმა, როგორც უკრაინაში, ისე რომ შემოგვიტიოს, დასავლეთის ეს დახმარება საკმარისია?

– სწორად დასმული კითხვაა. ღარიბაშვილმა თავდაცვის რეფორმების დაწყება გამოაცხადა. დაგვიანებული ნაბიჯიც არის, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს. უკრაინის ომმა ისე წარმოაჩინა, რომ, დღეს, ფაქტობრივად, მეოთხე და მეხუთე თაობის ომებზეა საუბარი, რა დროსაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჰაერსაწინააღმდეგო, ოპერატიულ-სტრატეგიული საავიაციო დამრტყმელი შეიარაღების ფლობა. მათ შორის დრონებზეა საუბარი.

ასევე დიდ როლს თამაშობს საზენიტო-სარაკეტო ზალპური საარტილერიო სისტემები, რომლებიც სერიოზულ როლს თამაშობენ ომის წარმოების პერიოდში.

მთავარი მომენტი ისაა, რომ ჰეტეროცენტრული ომის თეორია უფრო განვითარდა. ჰეტეროცენტრული ომის ელემენტების გარეშე, არც ერთ ქვეყანას წარმატების შანსი არ აქვს. რამდენადაა საქართველო მზად, რომ სავარაუდო მოწინააღმდეგეებთან ჰეტეროცენტრული ომის პრინციპებით საბრძოლო მოქმედებები აწარმოოს. ეს შეიძლება რუსეთი არ იყოს, მაგრამ კავკასია საკმაოდ მოწყვლადი რეგიონია.

დაქირავებული მებრძოლები გამოჩნდნენ. მაგალითად, იგივე კადიროვის ჯგუფი, რომელიც რუსეთთან არის დაკავშირებული, მაგრამ, შეიძლება დამოუკიდებლად იმოქმედოს. კიდევ არიან სხვა სეპარატისტული ჯგუფები, რომლებიც ძლიერდებიან.

შეიძლება საინტერესო კომბინაციები განვითარდეს. კავკასია ძალიან ფეთქებადსაშიში რეგიონია და შეიძლება საფრთხე წამოვიდეს. ამიტომ ჩვენ რამდენად მზად ვართ ასეთი თანამედროვე ტიპის საბრძოლო მოქმედებებისთვის, ცალკე საუბრის თემაა.

– თუმცა, ამისთვის მომზადება აუცილებელია.

– მომზადება აუცილებელია, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ თავდაცვის მიმართულებით პროფესიონალები ნაკლებად არიან. თავდაცვის ძალების სარდლობაში მეთაური და მისი მოადგილე პროფესიონალები არიან, რასაც ვერ ვიტყვი თავდაცვის ძალების სხვა მიმართულებით. თავდაცვის სამინისტროში და სხვაგან პროფესიონალების დიდი დეფიციტია.

ვეტერანების გამოცდილება უნდა გამოიყენონ. ისინი რეფორმის პროცესში უნდა ჩაერთონ. ვეტერანებისა და ამ სფეროს სათავეში მყოფი, თავდაცვის ძალების პროფესიონალების გაერთიანებით რეფორმები უნდა განხორციელდეს. სამწუხაროდ, ბევრი პრობლემა შექმნა ჩვენი სამხედრო კადრების დენადობის კუთხით წინა რეჟიმმა და ამ ხელისუფლებამაც მაინცდამაინც ბევრი არაფერი გააკეთა.

ამიტომ თავდაცვის სამინისტროში ბევრი არაპროფესიონალია, რაც ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის სასარგებლო არ არის, თუმცა, პრინციპული საკითხია. ამიტომ ეს საკითხი მმართველი პოლიტიკური ძალის ძალისხმევაზე აღარ გადადის, ეროვნული კონსენსუსის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

როგორი იქნება ახალი წელი ზოდიაქოს ნიშანთათვის

ეკა ირემაშვილი

რა შესაძლებლობები ექნება ზოდიაქოს 12 ნიშანს 2023 წელს? ამ კითხვაზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვპასუხობს:

ვერძი – ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია, იმიტომ, რომ იუპიტერი – გამარჯვების მმართველი პლანეტა, იქნება ვერძში ნახევარი წელიწადი მაინც. მერე გადადის აღმავალი კარმული კვანძი, კოსმიური მისიის მაჩვენებელი, ისევ ვერძში. ჩათვალეთ, რომ მთელი წელი ამ ნიშანს აქვს ძალიან კარგი პერსპექტივები. განებივრებულია როგორც ლიდერი, ხელმძღვანელი, ორგანიზატორი, საყოველთაო ყურადღების ცენტრში მოხვდება და ავტორიტეტს საგრძნობლად აიმაღლებს წლის განმავლობაში. წლის მეოერ ნახევარი დამატებით ხელს შეუწყობს ახალ ბიზნესპროექტებში ჩართვას, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ფინანსური შესაძლებლობების კიდევ მეტად გაღვივებას და ფინანსურად კიდევ უფრო უკეთ იგრძნობს თავს. მაგრამ არასოდეს არ არის წელიწადი ისეთი, რომელიც არის მხოლოდ კარგი. ყველა წელი ითხოვს ყურადღებას. ნეგატიური ტენდენციები მოსალოდნელია სასიყვარულო-პარტნიორული კუთხით. ვერძებო, იყავით ფრთხილად შვილებთან და სასიყვარულო პარტნიორებთან ურთიერთობებში. ნუ იქნებით ზედმეტად ხისტი, ჯიუტი და პირდაპირი, თორემ შექმნით კონფლიქტებს. ახალგაზრდა ვერძებს ვთხოვთ, ძალიან ფრთხილად სასიყვარულო პარტნიორებთან, შეიძლება გადაეყაროთ ისეთ პარტნიორს, რომელიც ჯერ მოგხიბლავთ და შემდეგ ჯვარს გაცმევთ, სერიოზულ კონფლიქტებში ჩაგაგდებთ. ძალიან ფრთხილად ლატარიების და აზარტული თამაშების მიმართ. აქ შეიძლება სერიოზული დანაკარგების წინაშე აღმოჩნდეთ, ამიტომ აქ უნდა იყოთ ყურადღებით.

კურო – ერთ-ერთი ფავორიტია. განსაკუთრებით მაისის თვიდან, როდესაც გამარჯვების მმართველი პლანეტა გადმოვა კუროს ზოდიაქოს ნიშანში და გადმოვა ერთი წლით. კუროს ექნება ძალიან კარგი პერსპექტივები. მაისამდე რა ვქნათ? მაისამდეც არ არის ცუდი პერიოდები, მაგრამ მაისამდე ენას კბილი უნდა დააჭიროთ. პროექტები გვაქვს თუ იდეები, ჯერ ნაბიჯი უნდა გადავდგათ და მერე გავთქვათ. ეს იქნება კოსმიური გამოცდა კუროებისთვის მაისამდე. ფარულ ინტრიგებს, ჭორებს, მტრებს არ სძინავთ და ოდნავ წინდაწინ გათქმული ინფორმაცია ძალიან ცუდად შეტრიალდება. ამ პირობის შესრულებით, მთლიანობაში პერიოდი არ იქნება ცუდი. აპრილის პირველი ნახევარი კუროებმა ცოტა ფრთხილად უნდა გაიარონ, იმიტომ რომ ენერგოტონუსი წლის განმავლობაში ყველაზე დაბალია – გაციების საფრთხე, ინფექციური დაავადებების ტენდენციები ძალიან მაღალია. გავუფრთხილდეთ საკუთარ ჯანმრთელობას, მაგრამ მთლიანობაში მთელი წელიწადი კარგია, განსაკუთრებით მაისიდან წლის ბოლომდე – გინდათ ფინანსური, პროფესიული განვითარების, სასიყვარულო ურთიერთობის მიმართულებით.

ტყუპები – 2023 წელი გაცილებით უკეთესია ვიდრე 2022 წელი. ძალიან კარგი შანსებია ახალი საქმის დაწყების, შეიძლება ახალი იდეა-პროექტის ჩამოყალიბება და მისი რეალიზაცია, ახალ ბინაში გადასვლა, სიახლეების დროა და რაც შეიძლება მეტი სიახლე და მათი დანერგვა. პლუს ახალ ნაცნობთა წრე, ახალი მეგობრული კონტაქტები, მაქსიმალური კონტაქტი წლის პირველ ნახევარში ინტერნეტთან, აქედან მიიღებთ ძალიან მნიშვნელოვან ინფორმაციას. შეიძლება გაიცნოთ ძალიან საინტერესო ადამიანები, რაც ხელს შეუწყობს შემდგომ თქვენს ერთობლივ პარტნიორულ თანამშრომლობას. მაგრამ წლის მეორე ნახევარში თქვენც იგივე მოგელით, რაც კუროს წლის პირველ ნახევარში – ენაზე კბილის დაჭერა, რაც ძალიან გიჭირთ. ნაბიჯი გადადგით და მერე გათქვით, რომ წინდაწინ არ იყოს ისეთი რამ ნათქვამი, რაც მერე თქვენს საწინააღმდეგოდ იქნება გამოყენებული. არასწორი ინფორმაციის ალბათობა გაქვთ მაღალი, ნებისმიერი ინფორმაცია გადაამოწმეთ, არავის არ ენდოთ, ხელშეკრულების ხელის მოწერამდე ყველა პუნქტს გადახედეთ, ისე არაფერს ხელი არ მოაწეროთ. მეტი ტაქტი და თავდაჭერა გმართებთ დებთან, ძმებთან, მეზობლებთან მიმართებაში, რომ არ იყოს დაძაბულობა.

კირჩხიბი – კირჩხიბთა ცხოვრებაში ძალიან საინტერესო ცვლილებები იქნება. ახლა კირჩხიბის ზონაში იმყოფება შავი მთვარე, ე.წ. მაცდუნებელი ძალა, ამიტომ ცდუნებების ტენდენცია მაღალი აქვს ამ ნიშანს. 2023-ში გამოვა ის კირჩხიბიდან და კირჩხიბი გათავისუფლდება ბევრი მაცდუნებელი ელემენტისგან და ამოისუნთქებს. კარგი პერიოდი აქვს მას კარიერული განვითარებისთვის, განსაკუთრებით პირველ ნახევარში, შეიძლება შესთავაზონ ახალი სამსახური, ახალი თანამდებობა, შეიძლება როგორც ლიდერი, ხელმძღვანელი ახლებურად გაიფურჩქნოს. თუ ზოგიერთი კირჩხიბი აპირებს პოლიტიკურ სფეროში მოსვლას, ამ მხრივ 2023 წელი ძალიან კარგია. წლის მეორე ნახევარი ხელს შეუწყობს მეტად თავისუფალ შეგრძნებებს. კირჩხიბი იგრძნობს, რომ გათავისუფლდა რაღაც მარწუხებისგან, რომელიც აწუხებდა 2022-ში, გახდება უფრო დამოუკიდებელი, უფრო თავისუფლად მოქმედი. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი ახალი ნაცნობობისთვის, ახალი მეგობრობისთვის, სპონტანური იმპროვიზაციისთვის, ახალი საქმის დასაწყებად, მაგრამ არასწორი კაპიტალდაბანდების და ინვესტიციების შედეგად, შეიძლება ფინანსური ზარალის წინაშე აღმოჩნდეს. ამიტომ შვიდჯერ გაზომოს და ერთხელ გაჭრას პრინციპით უნდა იმოქმედოს, სანამ ფულს რამეში დააბანდებს. მოერიდოს ძალიან ძვირადღირებულ საყიდლებს, თუ არ არის კარგად მოფიქრებული, რომ ფინანსურმა პრობლემებმა არ იჩინოს თავი. ზედმეტად ვიღაცისთვის სესხის გაცემა. კარგად იფიქრეთ, დამბრუნებელი არის ის პიროვნება შემდგომ თუ არა, შეიძლება უკან აღარ დააბრუნოს და დარჩებით ისე. სხვა მხრივ, წელიწადი უდავოდ კარგია.

ლომი – ძალიან კარგი და საინტერესო პერიოდია მოგზაურობისთვის, გელით საინტერესო ადამიანების გაცნობა. შეიძლება ზოგიერთი აღმოჩნდეს უცხოეთში სტაჟირებაზე, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სწავლის თვალსაზრისით, ერთობლივი პარტნიორული თანამშრომლობა უცხოელებთან საუკეთესო დროა ამისთვის. ლომებო, ორიენტაცია აუცილებლად აიღეთ წელს უცხოეთზე – უცხო ენის ათვისება, უცხოელებთან პარტნიორული თანამშრომლობა. შეიძლება 2022-იც არ იყო ამ მხრივ ცუდი, მაგრამ წლევანდელ წელს ლომებისთვის უცხოეთი იქნება განსაკუთრებული წარმატების, მატერიალური დივიდენდების და შემდგომი წარმატების გარანტი. წლის მეორე ნახევარი ხელს შეუწყობს პროფესიონალურ განვითარებას. შეიძლება ლომები დანიშნონ სერიოზულ თანამდებობაზე, პოლიტიკაშიც სერიოზულად წონადი გახდეს ეს ნიშანი, გახდეს ადამიანი, რომლის რეპუტაცია რადიკალურად მოიმატებს. ლომებო, ჩემი თხოვნაა ყურადღებით იყოთ – ის შავი მთვარე, ე.წ. მაცდუნებელი ძალა, რომელიც კირჩხიბიდან გადმოდის, გადმოდის ლომის ზოდიაქოში. თქვენ გექნებათ არნახული ცდუნებები ზღვარგადასული სიამოვნებების მიმართ, ზოგიერთ თქვენთაგანს განსაკუთრებული ლტოლვა გაუჩნდება კაზინოებისადმი, დროსტარებისადმი, საქმეების გადადებისადმი და მერე ერთად კეთებისადმი. ეს ხელისშემშლელი ფაქტორებია, მოიმატებს თქვენში ეგოიზმი, დიქტატორული ტენდენციები, სხვისი მართვის სურვილი, სიზარმაცის ელემენტები. პირად ურთიერთობებში, ისევე, როგორც ვერძებს, ლომებსაც მართებთ დიდი ყურადღება. ლომი სიყვარულის და შვილების სიმბოლოა. როცა შავი მთვარეა, ძალიან ტაქტიანი, დიპლომატიური უნდა იყოს შვილებთან და სასიყვარულო პარტნიორებთან, სათანადო ყურადღება უნდა დაუთმოს მათ, სხვანაირად ეს ურთიერთობები დაიძაბება.

ქალწული – საკმაოდ კარგი წელიწადია. პირველ რიგში, ეს წელი ხელს შეუწყობს ურთიერთობას საიდუმლო ინფორმაციასთან, ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს ის, რომელსაც დიდი ხანია ეძებდნენ. ეს ის პერიოდია, როდესაც მასაც აუცილებლად სჭირდება საიდუმლოს დაცვა წლის პირველ ნახევარში. ამავდროულად გავითვალისწინოთ, რომ წლის მეორე ნახევარი მათთვისაც ძალიან კარგია უცხოეთთან კონტაქტების კუთხით – მგზავრობის, მოგზაურობის კუთხით. ძალიან კარგი პერიოდია წლის მეორე ნახევარი უცხოეთში სტაჟირების, პროფესიონალური განვითარების, ერთობლივი პარტნიორული საქმიანობის კუთხით. ქალწულისთვის არ არის ცუდი წელიწადი და შეუძლია ძალიან კარგი პერსპექტიული შესაძლებლობების გამოვლენა საქმეში, შეუძლია საკუთარი ბიზნესი წამოიწყოს. რაც შეეხება ნეგატიურ მხარეს, ძალიან მნიშვნელოვანია ფარული მტრები – ინტრიგები, ჭორები და ზოგიერთი მეგობარი და მათი ზურგს უკან ჩურჩული, ქილიკი და ინტრიგების გამოვლენა. აქ ქალწულები ფრთხილად უნდა იყოთ. ზოგიერთმა მეგობარმა შეიძლება გიღალატოთ. იყავით ფრთხილად. დაიცავით საიდუმლო, რომ თქვენი გათქმული საიდუმლო არ გახდეს პრობლემების მომტანი.

სასწორი – ამ ზოდიაქოს ნიშნისთვის ეს პერიოდი არ არის ცუდი, კარგი პერსპექტივები და შესაძლებლობები სასწორს აქვს, მაგრამ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: სასწორი წელს შეიძლება დაქორწინდეს, რომანტიკული ურთიერთობა გააბას, შემოქმედებითი ნიჭი და უნარი გამოავლინოს, ბიზნესსაქმიანობის კუთხითაც ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდია. თან მისი საფირმო შტრიხები – მშვიდობიანობა, დიპლომატიური გზით ნებისმიერი რთული საკითხის გადაწყვეტა მისცემს გადასარევ შედეგებს. წლის მეორე ნახევარი მისგანაც ითხოვს აუცილებლად საიდუმლო მოქმედებას, ინფორმაციის არგათქმას. წლის მეორე ნახევარში მათ გაუჩნდებათ ინტერესი რელიგიისადმი, ფილოსოფიისადმი, ფსიქოლოგიისადმი. სასწორებს პრობლემები ექნებათ მეგობრებთან, იყვნენ ყურადღებით, შეიძლება გაიჩინონ ახალი მეგობრები, რომლებიც ჯერ ლამაზად შემოვლენ, მერე აღმოჩნდებიან ფრიად საეჭვო, მატყუარები, რომლებმაც შეიძლება პრობლემები შეუქმნან. წლის მეორე ნახევარში სასწორებში განსაკუთრებულად გაიზრდება ლტოლვა სიახლეებისა და თავისუფლებისადმი, ამიტომ ვიყოთ ყურადღებით. თავისუფლება საჭიროა, მაგრამ გადამეტებული ლტოლვა, მით უმეტეს, დაქორწინებული სასწორებისთვის, შეიძლება გახდეს გაღიზიანების მიზეზი მათსა და მათ პარტნიორებს შორის, რამაც შეიძლება დაძაბოს ეს ურთიერთობები. წლის ბოლოს ასევე სიფრთხილეა საჭირო ახალი საქმის, ახალი წინადადებების მიმართ. ყველა სიახლე არ იქნება სასიკეთო, ამიტომ გადაამოწმეთ და პრაგმატულად იაზროვნეთ. სასწორს აქვს ფანტაზიის არნახული თვისება – ხშირად ადამიანს აკერებს იმ თვისებებს, რომელიც მას არ აქვს, იდეას იმ შესაძლებლობის, რომელიც მას არ აქვს. ამიტომ წლის მეორე ნახევარში დიდი სიფრთხილე მართებთ.

მორიელი – საინტერესო პერიოდია, შეუძლია გააუმჯობესოს ურთიერთობა კოლეგებთან, ხელმძღვანელებთან, რაც ხელს შეუწყობს მის წინსვლას. გაუმჯობესდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. თუ რამე ჰქონდა დაავადებები, გათავისუფლდება. მკურნალობისთვის საუკეთესო პერიოდია. გაძლიერდება მისი იმუნიტეტი. წლის მეორე ნახევარი კარგია პირადი და პარტნიორული ურთიერთობებისთვის. შეიძლება დაამყაროს ახალი ბიზნესპარტნიორული ურთიერთობები, შეიძლება ზოგიერთმა იქორწინოს, ახალი სასიყვარულო პარტნიორი გაიჩინოს, შემოქმედებითად იმუშაოს და იყოს მეტად წარმატებული. მაგრამ უნდა იყოს ცოტა ტაქტიანი და მხარდაჭერილი, განსაკუთრებით ბიზნესპარტნიორებთან, თუ ჩაერთო იდეოლოგიაში, პოლიტიკაში, იქ ხელმძღვანელ პირებთან, რომ თავისი ზედმეტი სარკაზმით, სიხისტით, პირდაპირობითა და სიჯიუტით არ დაძაბოს ურთიერთობა. მთლიანობაში წელიწადი უდავოდ კარგია, პერსპექტივები აქვს, მაგრამ ნეგატიური ტენდენციები გაითვალისწინოს.

მშვილდოსანი – ამ ზოდიაქოს ნიშნისთვის ძალიან საინტერესო და კარგი წელიწადია სასიყვარულო პარტნიორული ურთიერთობის მხრივ. შეიძლება აღმოჩნდეთ შვილების გაჩენის წინაშე, ახალი სასიყვარულო პარტნიორული ურთიერთობების წინაშე, ძველი სასიყვარულო ურთიერთობები უფრო მაღალ დონეზე აიყვანოთ. ზოგიერთი მშვილდოსანი შეიძლება გახდეს თანამდებობის პირი, ლიდერი, ხელმძღვანელი თავის საქმეში. ეს წელი კარგია აზარტული თამაშებისა და ლატარიებისთვის, სადაც მოგებების ალბათობა იქნება საკმაოდ მაღალი. ეს ის პერიოდია, რომელიც ხელს შეუწყობს მოგზაურობას, საინტერესო ახალი ინფორმაციის მიღებას, შანსები წარმატებისა რადიკალურად მაღალია ხელმძღვანელებთან, კოლეგებთან ურთიერთობისას. წლის მეორე ნახევარში კიდევ უფრო წარმატებული იქნება მშვილდოსნისთვის. რაც შეეხება ნეგატიურ საკითხებს, საჭიროა ყურადღება მოგზაურობის დროს, ჯირითის სურვილი უძლიერდება, რის შედეგადაც შეიძლება ტრავმულ-ავარიულ სიტუაციაში მოხვდეს. ფრთხილად საჭესთან, ფრთხილად ზოგიერთ ავანტიურისტ უცხოელთან. მშვილდოსანი რამდენადაც წარმატებული იქნება ლატარიასა და აზარტულ თამაშებში, იმდენად შეიძლება წარუმატებელი იყოს მისი ურთიერთობა უცხოელებთან, შეიძლება მოატყუონ, ან იყოს მცდელობა არასწორი ინფორმაციის მიწოდებისა. ნებისმიერი უცხოეთიდან მიღებული ინფორმაცია აუცილებლად გადაამოწმოს, ადვილად არავის ენდოს და ფრთხილად იყოს მგზავრობისა და მოგზაურობის დროს.

თხის რქა – უპირველეს ყოვლისა, კარგი პერიოდი აქვს სამშობლოში. თხის რქებო, თქვენი დიდი წარმატება მოდის სამშობლოში. განსაკუთრებით წლის პირველ ნახევარში. ეს არის ოჯახური სტაბილიზაციის, სანაცნობო ურთიერთობების გაფართოების, გაუმჯობესების, გაძლიერების პერიოდი. წლის პირველ ნახევარში თქვენ შეიძლება დაქორწინდეთ. არსებული ურთიერთობები უფრო მაღალ დონეზე აიყვანოთ. ეს არის საუკეთესო პერიოდი ხელმძღვანელი პირის როლის შესასრულებლად. წლის მეორე ნახევარში მაღალია ალბათობა, დაიკავოთ მაღალი თანამდებობა. თხის რქებისთვისაც კარგია მეორე ნახევარი სხვადასხვა აზარტული თამაშებისთვის, სხვადასხვა სახის გასართობი ინდუსტრიისთვის, მათ შორის, ბიზნესსაქმიანობის გაფართოების კუთხით, ამიტომ შანსები წარმატებისა როგორც ლიდერს და ხელმძღვანელს, ექნება საკმაოდ კარგი, მაგრამ ერთი პირობით – ენაზე კბილის დაჭერით. მათაც სჭირდებათ საიდუმლოს დაცვა, არ გათქვან საიდუმლო ინფორმაცია. ახალგაზრდა თხის რქებს მაღალი აქვთ ალბათობა, გადაეყაროთ 2023-ში საეჭვო ინტიმურ პარტნიორებს, რომლებიც ჯერ მოგხიბლავენ და შემდეგ ჯვარს გაცვამენ, ამიტომ ფრთხილად მოხიბვლის კუთხით, რომ ეს ურთიერთობა არ აღმოჩნდეს სერიოზული ხინჯი წლის განმავლობაში.

მერწყული – მთლიანობაში უკეთესი წელიწადია. 2 წლის განმავლობაში მერწყულის ზოდიაქოში იმყოფებოდა სატურნი, ერთ-ერთი ყველაზე მუხრუჭი პლანეტა, რომელიც ყველანაირად ამუხრუჭებდა მის წინსვლას და შესაძლებლობებს. 20223-ში სატურნი გამოდის მერწყულიდან და ათავისუფლებს მუხრუჭებისგან, ვალდებულებებისგან, განსაკუთრებული ჩაკეტვისგან, რასაც ვერ იტანენ, ამიტომ 2023 წელი არის მერწყულების გათავისუფლების პერიოდი. ამ წელს მერწყულმა უნდა მიიღოს ახალი ინფორმაცია, გაიცნოს ახალი ადამიანები, ერთობლივი პროექტი დაიწყოს, ახალ საქმეს შეეჭიდოს, ახალი ბინა, ახალი სამსახური, შეიძლება ახალი ქალაქი – სიახლეების დრო მოდის მის ცხოვრებაში, მაგრამ გაითვალისწინეთ ერთი რამ – წლის მეორე ნახევარში იყავით სამშობლოში. სამშობლო თქვენთვის ორმაგად წარმატების მომტანი ხდება წლის მეორე ნახევარში. მაქსიმალურად პატივი ეცით ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, საგვარეულო გენიალოგიას, მეტი ურთიერთობა ნათესავებთან. მთლიანობაში წელიწადი გაგათავისუფლებთ სერიოზული პრობლემებისგან.

თევზები – ამ ზოდიაქოს ნიშანს საინტერესო პერიოდი აქვს, 2023 წელი ხელს უწყობს მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. შეიძლება ძველი საქმეებიდან მიიღონ მატერიალური დივიდენდები, განსაკუთრებით წლის პირველ ნახევარში. ეს პერიოდი ხელს უწყობს წლის მეორე ნახევარში საჭირო ინფორმაციის მიღებას. დებთან, ძმებთან, მეზობლებთან, მეგობრებთან ურთიერთობების ერთი-ორად გაუმჯობესებას, მათ თანადგომას და მათ დახმარებას. შეიძლება ახალი მეგობრული წრე შეიკრას, შეიძლება მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღოთ, რომელიც ხელს შეუწყობს ახალი იდეების რეალიზაციას და მათ ჩამოყალიბებას, რაც მატერიალური დივიდენდების მომტანი იქნება თქვენთვის. სწავლისთვის ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდია. პარტნიორული თანამშრომლობისთვის მშვენიერი პერიოდია. ხელს უწყობს იგი კარიერულ განვითარებას და წინსვლას. ოღონდ ყურადღება ჯანმრთელობას. ჯანმრთელობის პრობლემებმა შეიძლება ცოტა მეტად იჩინოს თავი. ამიტომ არ გაცივდეთ, ზედმეტად არ გადაიღალოთ, ნაწლავის და კუჭის ზონას მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება, მოწამვლის ალბათობა მატულობს, ამიტომ გადაამოწმეთ მაინც ხარისხი საკვებისა, აქედან არ მოვიდეს რაიმე პრობლემა. მეტი ტაქტი და თავდაჭერა გმართებთ კოლეგებთან და ხელმძღვანელებთან მიმართებაში. არ იყოთ ხისტი, დიპლომატია საუკეთესოა. ასეთ შემთხვევაში წელიწადი იქნება ძალიან კარგი.

სისხლიანი გარჩევა „ლაგუნა ვერესთან“ – სასამართლომ 13 პირი დამნაშავედ ცნო

თბილისის საქალაქო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და თბილისში, „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიაზე დამამძიმებელ გარემოებებში მომხდარი განზრახ მკვლელობის მცდელობის და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე ბრალდებული 13 პირი დამნაშავედ ცნო.

ამის შესახებ ინფორმაციას გენერალური პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროში გამოძიება გრძელდება დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენის და დაკავების მიზნით.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2022 წლის 2 აპრილს, თბილისში, კოსტავას პირველ შესახვევში მდებარე სს „საგზაო კომპანია თბილისის“ ოფისის ერთ-ერთ ოთახში, კ.ქ.-სთან და მის მეგობრებთან სასაუბროდ მივიდნენ მათი ნაცნობები, ასევე მათი პირადი დაცვის წევრები და თანმხლები პირები. შეხვედრის მიმდინარეობისას, მხარეებს შორის შეკამათება ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა, რა დროსაც, კ.ქ.-მ დაპირისპირებაში მყოფი პირების მიმართულებით იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა, რის შედეგადაც ოთახში მყოფმა სამმა პირმა სხვადასხვა ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანებები მიიღო.

აღნიშნული დაპირისპირების დროს, კ.მ.-მ და დ.ც.-მ ჯგუფურად, განზრახ მოკვლის მიზნით, დაპირისპირების ოთახის გარეთ, ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლეს კ.ქ.-ს, რომელიც მიღებული დაზიანებების შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

გამოძიებით დადგინდა, რომ შემთხვევის ადგილზე მყოფმა 12 პირმა იცოდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შესახებ, თუმცა სამართალდამცავ ორგანოებს მომხდარის შესახებ არ შეატყობინეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულები მომხდარი ფაქტის შემდგომ სხვადასხვა დროს დაიკავეს. კ.მ.-ს დაზუსტებული ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19, 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა ჩადენილი ჯგუფურად), 11 პირს ბრალდება 376-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა), ხოლო ერთ პირს ბრალდება 376-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და 236-ე მუხლის მესამე ნაწილით (საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა) წარედგინათ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ცამეტივე ბრალდებული დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებებში და კ.მ.-ს სასჯელის სახედ და ზომად 14 წლით, 2 ბრალდებულს 4 წლით, ხოლო 10 ბრალდებულს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე კიდევ 2 პირია ბრალდებული. ერთ პირს ბრალდება 19, 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (განზრახ მკვლელობის მცდელობა ჩადენილი ჯგუფურად), ხოლო მეორე პირს – 376-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით (მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა) აქვს წარდგენილი. ორივე ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა.

ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე „ვივამედის“ დირექტორ ნინო ნადირაძის წინააღმდეგ სამართლებრივი დავის დაწყებას აპირებს

საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე „ვივამედის“ დირექტორის ნინო ნადირაძის წინააღმდეგ სამართლებრივი დავის დაწყებას აპირებს.

როგორც მან „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, სასამართლოში სარჩელს პატივისა და ღირსების შელახვის მოტივით შეიტანს.

– პატივისა და ღირსების შელახვის მოტივით ვგეგმავ სარჩელის შეტანას სასამართლოში. ჯერ სააკაშვილის სიცოცხლეს გადავარჩენ, მოვიცლი და ნადირაძეებსა და მის მსგავსებს მერე მივაქცევ ყურადღებას სათითაოდ, – განაცხადა ხაჭაპურიძემ.

ცნობისთვის, ნინო ნადირაძემ ხაჭაპურიძის შესახებ სოციალურ ქსელში დაწერა: „სხვა უამრავ, კლინიკის მადისკრედიტებელ ბოდვაზე რომ არაფერი ვთქვა, მგონი მართლა მიმყარდება ეჭვი მის ნარკოდამოკიდებულებაზე, რომელსაც აქტიურად განიხილავდნენ ბატონები ჩალაძე და ბარამაშვილი ჩემი და ჩემი მოადგილის თანდასწრებით“.

ვინ არის 25 წლის ქართველი, რომელიც საბერძნეთში ჟურდობისთვის დააკავეს



საბერძნეთში პოლიციის თანამშრომლებმა 25 წლის ქართველი დააკავეს – ამის შესახებ ინფორმაციას ბერძნული მედია ავრცელებს. გამოცემის ცნობით, ახალგაზრდა კაცი ერთ-ერთი მეტროსადგურის მიმდებარედ გაჩერებული მანქანების ფანჯრის მინას ამტვრევდა და ნივთებს იპარავდა.

არსებული ინფორმაციით, 27 დეკემბერს, დღის მეორე ნახევარში, 25 წლის ახალგაზრდამ მანქანის მინა ჩაამტვრია და ნივთები ამოიღო. ფაქტი შენიშნა ავტომობილის მფლობელმა, რომელმაც მომხდარის შესახებ სამართალდამცველებს შეატყობინა. მედიის ინფორმაციით, მანამდე მეტროსადგურის ტერიტორიაზე მსგავსი მეთოდით ჩადენილი ქურდობის კიდევ 6 ფაქტი დაფიქსირდა.

სტატიის თანახმად, პოლიციელებმა მომხდარზე 25 წლის კაცი დააკავეს. მანქანის მფლობელმა კი მისი ამოცნობა შეძლო. დაკავებულს მოპარული ნივთები თან ჰქონდა. ავტომობილის მინების გატეხვისა და ნივთების მოპარვის ფაქტზე გამოძიება გრძელდება. დაკავებული ათენის სისხლის სამართლის პროკურატურაში გადაიყვანეს.

მესტიის სოფელ ეცერში ორი ადამიანი მოკლეს, დაჭრილია ერთი პირი

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ეცერში მკვლელობა მოხდა. გავრცელებული ინფორმაციით, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ორი ადამიანი მოკლეს, ერთი კი დაჭრეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ ორი პირის განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

უწყებაში აღნიშნავენ, რომ ამ ეტაპზე სამართალდამცველები ადგილზე აქტიურ საგამოძიებო მოქმედებებს ატარებენ.

რუსთავში 40 წლამდე მამაკაცი არასრულწლოვან გოგონას აედევნა

ადევნებისა და თვალთვალის ფაქტი რუსთავში დაფიქსირდა. „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, XVII მიკრორაიონში, ერთ-ერთი მაღაზიიდან 40 წლამდე მამაკაცი, არასრულწლოვან გოგონას აედევნა. გოგონამ მამაკაცის თვალთვალი შეამჩნია, ნაბიჯს აუჩქარა და ლიფტში შეასწრო, ლიფტიდან კი ბინაში დროულად შევიდა.

არსებული ინფორმაციით, იმ დღეს მამაკაცი გოგონას ბინის კართან რამდენიმე წუთი უცდიდა. შემთხვევა დღის საათებში მოხდა. მეორე დღეს კი, სკოლაში წასვლამდე, სადარბაზოსთან ელოდა. ფაქტის შესახებ მოზარდმა პოლიციას აცნობა. გავრცელებული ცნობით, მამაკაცი უკვე დააკავეს.

ქუთაისში ავტობუსში მგზავრმა მგზავრს სცემა

ქუთაისში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრმა მგზავრს სცემა. შემთხვევა ავტოქარხნის დასახლებაში, №25 ავტობუსში მოხდა. თვითმხილველები „მთავარის“ იმერეთის კორესპონდენტს უყვებიან, რომ მამაკაცი ტელეფონზე ბილწი სიტყვებით საუბრობდა, რაზეც გოგონებმა შენიშვნა მისცეს, რის შემდეგაც მამაკაცი გაღიზიანდა და ქალს სახეში ხელი გაარტყა. ადგილზე საპატრულო და კრიმინალური პოლიცია იყო მობილიზებული.

თვითმხილველი მგზავრები, დაზარალებული და ბრალდებული სახლის ნაცვლად პოლიციის განყოფილებაში აღმოჩნდნენ.

გორში ავეჯის საწყობი დაიწვა

გორში, წმინდაწყლის დასახლებაში ავეჯის საწყობი დაიწვა.

არსებული ინფორმაციით, ზარალი თითქმის 20 ათასი ლარია.

შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

საერთაშორისო

გენერალი სუროვიკინი გაგიჟდა

რუსული საოკუპაციო ძალების სარდალმა, გენერალმა სუროვიკინმა ოფიციალურად მიმართა დიქტატორ პუტინს. სუროვიკინი მოითხოვს, რომ უკრაინაზე ბირთვული დარტყმა განახორციელონ.

პუტინმა გენერლის შიზოიდური წინადადება უპასუხოდ დატოვა. მან სუროვიკინი მხოლოდ წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა.

რუსეთში შესაძლოა სამხედრო მდგომარეობა გამოაცხადონ

ჩეჩნეთის მარიონეტული პრორუსული ხელისუფლების მეთაურმა რამზან კადიროვმა განაცხადა, რომ ნაწილობრივმა მობილიზაციამ ვერ გაამართლა, ომი უკრაინაში გრძელდება და ჩვენი ჯარისკაცები კვლავაც იღუპებიანო.

პუტინის ჩეჩენი დამქაში ამბობს, რომ საყოველთაო მობილიზაციის გამოცხადება მხოლოდ სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ შეიძლება.

ბრძოლები უკრაინის სამხრეთში

გააფთრებული ბრძოლებია უკრაინის სამხრეთში. მტერმა ქალაქ გულიაი-პოლესაკენ წაწევა სცადა. უკრაინელებმა შეტევა შეაჩერეს. რუსებმა დიდი დანაკარგებით დაიხიეს უკან.

პასუხად გაბოროტებულმა ოკუპანტებმა ჭურვები დაუშინეს როგორც გულიაი-პოლეს, ისე ზაპოროჟიეს. გულიაი-პოლეში დანგრეულია სახლები. არის მსხვერპლი მშვიდობიან მოქალაქეთა შორის. მსგავსი ვითარებაა ზაპოროჟიეშიც. ხერსონის მიმართულებით საარტილერიო დუელები გრძელდება. ოკუპანტებმა ხერსონი დაბომბეს. შედეგად დაიღუპა 14 მშვიდობიანი მოქალაქე. უკრაინელთა საპასუხო დარტყმის შედეგად ლიკვიდირებულია 150 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

გაგარეულებული ღორების კოლტი საკურორტო ქალაქს ატერორებენ

ღორების კოლტი, რომლებიც, სავარაუდოდ, დიდი ბრიტანეთის კამბრიას საგრაფოს საკურორტო ქალაქ სილოტის მახლობლად მდებარე ფერმიდან გაიქცნენ, ადგილობრივ მცხოვრებლებს ატერორებს.

ადგილობრივების მტკიცებით, გაგარეულებული ღორები საკმაოდ მოუხელთებლები, სხარტები, ძლიერები და ავები არიან. მათ, სულ მცირე, სამი ცხოველი შენიშნეს, რომლებიც ირგვლივ დაძრწოდნენ.

ქალაქის ზოგიერთი მკვიდრი შიშობს, რომ ღორები მათ თავს დაესხმებიან და ამიტომ საღამოს საათებში სახლიდან გამოსვლას ერიდებიან. სილოტის მკვიდრმა ადამ პირსონმა განაცხადა, რომ რამდენიმე ცხოველი, რომელთაც ის გადააწყდა ქუჩაში, საკმაოდ დიდი ზომის იყო, თუმცა იქვე განმარტა, რომ მათ მის მიმართ აგრესია არ გამოუვლენიათ და მაინც ის ფიქრობს, რომ ნებისმიერი ცხოველი შეიძლება გახდეს აგრესიული თუ მათი პროვოცირება მოხდება. სილოტის კიდევ ერთმა მკვიდრმა კეროლ ბლეიკმა მას შემდეგ გამოიძახა პოლიცია, როდესაც ძაღლით სეირნობის დროს ღორებს გადააწყდა.

– სიბნელეში სამი ღორი პირდაპირ ჩემსკენ გამოემართა და იძულებული გავხდი, გაქცევით მეშველა თავისთვის, – განაცხადა ქალმა.

ცხოველთა დაცვის სამეფო საზოგადოების წარმომადგენლებმა ის ადგილი შეამოწმეს, საიდანაც შესაძლოა ღორები გაქცეულიყვნენ. ყველა ცხოველი, რომელთა დაჭერა მათ მოახერხეს, დროებით თავშესაფარში მოათავსეს, ხოლო ახალი წლის შემდეგ მათ სხვაგან გადაასახლებენ.

უპატრონო კატა ქალს თავს დაესხა და სერიოზული დაზიანებები მიაყენა

სინგაპურის მკვიდრი 60 წლის ქალი გვარად ჩუოუ მაწანწალა კატის თავდასხმის მსხვერპლი გახდა, რის შედეგადაც მძიმე დაზიანებები მიიღო და საავადმყოფოში ამოყო თავი.

ქალი ნათესავებთან ერთად პარკში ძაღლს ასეირნებდა. მოულოდნელად მის ძაღლს თავს მაწანწალა კატა დაესხა.

– ძაღლმა მას რამდენჯერმე დაუყეფა და მე ის ხელში ავიყვანე. შედეგად კატა მე დამესხა თავს, – განაცხადა ქალმა.

ქალი შეეცადა კატის თავდასხმა ხელჯოხით მოეგერიებინა და მას მაღაზიაში ნაყიდი კრევეტების შეკვრაც კი ესროლა, მაგრამ ამან შედეგი არ გამოიღო. ცხოველი ქალს ჩააფრინდა, დაკაწრა და დაკბინა.

– ის ძალიან ავი იყო, ბეწვი ყალყზე ედგა. მან თავი მხოლოდ მას შემდეგ დამანება, როდესაც ჩემ დასახმარებლად უცნობმა პირმა მოირბინა, – ამბობს ჩუოუ. ქალს ფეხებზე ღრმა ნაიარევები დარჩა, მისი შარვლის ტოტები კატამ ბრჭყალებით თითქმის ნაფლეთებად აქცია. ჩუოუ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი, სადაც მას ანთების საწინააღმდეგო ნემსი გაუკეთეს და ტკივილგამაყუჩებელი წამალი მისცეს. ქალის მტკიცებით, მის ძაღლს კატის პროვოცირება არ მოუხდენია და ვერ ხვდება, თუ რატომ მოხდა ეს ყოველივე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

როგორ წარიმართება 2023 წელს რუსეთ-უკრაინის ომი?

გასული 2022 წელი ძალზე მნიშვნელოვანი იყო. ჩაიშალა პუტინის გეგმა უკრაინაში ელვისებური ომის შესახებ. საომარმა მოქმედებებმა გაჭიანურებული სახე მიიღო. რუსეთს თავისი ოქროსა და ვალუტის მარაგი მხოლოდ 17 თვეს ეყოფა, რაც ფრიად საგულისხმო დასკვნის საშუალებას იძლევა:

– რუსეთი ომს მხოლოდ 1 წლის განმავლობაში შეძლებს, – მიიჩნევს აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი.

როგორც ჩანს, პუტინმა ეს კარგად იცის, ამიტომაც ემზადება უკანასკნელი გენერალური შეტევისათვის.

28 დეკემბერს მოსკოვში თავდაცვის სამინისტროს გაფართოებული კოლეგიის სხდომა გაიმართა. მასზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა თავად პუტინი.

– უკრაინასთან ომი 2023 წელს უნდა დამთავრდეს ჩვენი გამარჯვებით! – თქვა მან.

სიტყვას საქმე მოჰყვა. რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე 300.000 მობილიზებულის წვრთნა მიმდინარეობს. სავარაუდოდ, უკვე 2023 წლის იანვარში მათ უკრაინის ფრონტზე გადაისვრიან, 2013 წლის თებერვალ-მარტში კი რუსეთი ფართომასშტაბიან შეტევაზე გადავა.

– ოკუპანტები იერიშს მთელს ფრონტზე დაიწყებენ, – აცხადებს უკრაინის სამხედრო დაზვერვა.

შეტევა შემდეგი მიმართულებით წარიმართება: 1. დონბასი, 2. ბელორუსიდან კიევზე ან ვოლინზე (ჟიტომირი, როვნო), 3. უკრაინის სამხრეთი (ყირიმიდან ხერსონზე), აგრეთვე ზაპოროჟიეს, ოდესის, ნიკოლაევის მიმართულებით.

შეტევის წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში რუსეთი საზავო პირობებს წამოაყენებს. ის შემდეგი მუხლებისაგან შედგება: 1. უკრაინის ნეიტრალური სტატუსი; 2. დონბასის შესვლა რუსეთის შემადგენლობაში; 3. უკრაინის სამხრეთის (ზაპოროჟიეს და ხერსონის ოლქები) რუსეთის შემადგენლობაში შესვლა.

ასეთ პირობებზე უნდა ხელი მოეწეროს დროებით ზავს, რომელსაც პუტინი გამოიყენებს მშვიდობიანი შესვენებისათვის და არმიის გადაიარაღებისათვის. ამის შემდეგ რუსეთი ახალ შეტევაზე გადავა და შეეცდება დაიკავოს კიევი, თუმცა ეს უკვე 2024 წლის საქმეა.

– კრემლის მიზანია 2023 წელს დონბასის, აგრეთვე ხერსონ-ზაპოროჟიეს ოლქების რუსეთის შემადგენლობაში შესვლის მიღწევა, – მიიჩნევს აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტი.

ამრიგად, 2023 წელი ბევრ საკითხში გადამწყვეტი იქნება. უდავოა, რომ რუსეთი ფართომასშტაბიან შეტევაზე გადავა. საკითხავია, თუ რამდენად წარმატებული იქნება ის. მსოფლიოს წამყვანი ექსპერტები თვლიან, რომ შეტევის წარმატების ალბათობა მინიმალურია. მიზეზები შემდეგია: ა) რუსეთის ეკონომიკა გამოფიტულია, სანქციებმა ეს გაამძაფრა; 2. ნავთობზე ფასები დაეცა, რაც რუსეთის ეკონომიკის გამოცოცხლებას გამორიცხავს; გ) რუსეთის არმია გადაიღალა; დ) რუსული საზოგადოების 57% უკვე უკრაინასთან ზავის მომხრეა.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, ცნობილი ამერიკელი ექსპერტი ბრინკი ასკვნის:

– შანსი იმისა, რომ რუსული შეტევა წარმატებული იქნება, მცირეა.

სამაგიეროდ, დიდია ალბათობა იმისა, რომ უკრაინელები კონტრიერიშზე გადავლენ. გადაქანცულ, სისხლისგანდაცლილ რუსეთის არმიას უკრაინელთა შეკავება გაუჭირდება. სავარაუდოდ, უკრაინა აღიდგენს თავის საზღვრებს 1991 წლის ფარგლებში, ეს კი ხელს შეუწყობს ცვლილებებს თავად რუსეთში.

– ალბათ პუტინი სცენიდა ჩამოვა. ეს 2023-24 წლებში მოხდება, – მიიჩნევს ბრინკი.

დღეს უკრაინა დე ფაქტოდ უკვე ნატოს წევრია. რუსეთთან ომში გამარჯვების შემთხვევაში ეს დეიურედ გაფორმდება. დაიწყება ცვლილებები მთელს პოსტსაბჭოთა სივრცეში, მათ შორის, საქართველოშიც.

იენს სტოლტენბერგი: „არსებობს ომის შეწყვეტის ერთადერთი საშუალება!“

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ რუსეთ-უკრაინის ომი უნდა შეჩერდეს და დაიწყოს მშვიდობიანი მოლაპარაკებები. ამისი გაკეთება იოლი არ იქნება, რადგან რუსეთი ახალ მასირებულ შეტევას ამზადებს.

ნატოს გენერალური მდივნის აზრით, უკრაინას დახმარება უნდა გაეზარდოს. შედეგად სიტუაცია საბოლოოდ ჩიხში შევა და რუსეთიც დარწმუნდება, რომ შეიარაღებული გზით ვერას გახდება.

რომის ყოფილი პაპი გარდაიცვალა

გარდაიცვალა რომის ყოფილი პაპი ბენედიქტე მე-16. ის 95 წლისა იყო. ბენედიქტემ რომის ყველა პაპს შორის ყველაზე ხანგრძლივი სიცოცხლე განვლო.

ზელენსკიმ უკრაინელებს ახალი წელი მიულოცა

უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ თანამემამულეებს ახალი წელი მიულოცა. მან ხაზი გაუსვა, რომ უკრაინას არ სჭირდება მშვიდობა ნებისმიერ ფასად. უკრაინას გამარჯვება სჭირდება.

– გამარჯვება არ იქნება რაღაც ციური მანანა! ის ყველა ჩვენთაგანის სისტემატური შრომისა და თავდადების შედეგი იქნება, – თქვა ზელენსკიმ.

რუსმა ოკუპანტებმა უკრაინა დაბომბეს

ახალი წლის ღამეს რუსმა ოკუპანტებმა უკრაინის მასობრივი დაბომბვა განახორციელეს. დარტყმები მოხდა სუმზე, ხარკოვზე, კიევზე, ჟიტომირზე, ლვოვზე.

რუსებმა უკრაინაზე 87 სარაკეტო დარტყმა მოახდინეს. აქედან 77 რაკეტა უკრაინელებმა ჩამოაგდეს.

განხორციელდა დარტყმები კიევზეც. შედეგად დაინგრა სახლები. დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა.

უკრაინელი ექსპერტის, პოლკოვნიკ ოლეგ ჟდანოვის ცნობით, ახლა რუსი ოკუპანტები არა კრიტიკულ ინფრასტრუქტურას, არამედ საცხოვრებელ სახლებს უმიზნებენ. რუსული რაკეტების მსხვერპლიც ძირითადად მშვიდობიანი მოსახლეობა გახდა.

ბახმუტთან რუსების შეტევის ტემპი კიდევ უფრო დაეცა

ბახმუტთან რუსების შეტევის ტემპი კიდევ უფრო დაეცა. მიზეზი ის უზარმაზარი დანაკარგებია, რომელიც აქ განიცადეს ოკუპანტებმა.

აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის ცნობით, რუსების განუწყვეტელი ტალღური იერიშები შეწყდა. ახლა შეტევაზე უკვე უკრაინელები გადავიდნენ. თანახმად უკანასკნელი ცნობისა, ბახმუტთან ინიციატივას უკვე უკრაინელები ფლობენ.

ბრძოლები დონეცკის ოლქში

დონეცკის ოლქი კვლავაც ფრონტის ყველაზე ცხელ წერტილად რჩება. ბახმუტის გარდა, ცხარე ბრძოლებია ავდეევკასთან, მარინკასთან, სოლედართან.

უკრაინელებმა მთლიანად გაათავისუფლეს მარინკის გარეუბნები. პასუხად რუსმა ოკუპანტებმა ქალაქის დაბომბვა გააძლიერეს. მარინკისაგან ფაქტიურად მხოლოდ ნანგრევები დარჩა, თუმცა მათზე უკრაინული დროშა ფრიალებს. მსგავსი სურათია სოლედართანაც. მთავარია ის, რომ მას უკრაინელები აკონტროლებენ.

რუსი ოკუპანტები განაგრძნობდნენ შეტევებს ავდეევკაზე. კვლავ ჩაიშალა რუსების მცდელობა ალყაში მოექციათ ავდეევკა. ქალაქზე პირდაპირ შეტევებს კი შედეგი არ მოაქვს. რუსები მხოლოდ ზარალს განიცდიან. რუსების შეტევების პასუხად უკრაინელებმა დაბომბეს დონეცკი, გორლოვკა, სტახანოვსკი და დონბასის სხვა ქალაქები. დონეცკის ცენტრი ცეცხლშია გახვეული. ოკუპანტების რიგებში დიდი მსხვერპლია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ნანა ფაჩუაშვილი 80 წლის გახდა

თეატრისა და კინოს უნიჭიერესი მსახიობი ნანა ფაჩუაშვილი 80 წლის გახდა.

საიუბილეო თარიღი მას რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა მიულოცა:

– თანამედროვე ქართულ თეატრში იშვიათად მოიძებნება ასე რეალიზებული ქართველი არტისტი ქალბატონი, საოცრად პოპულარული და მაყურებელთა დიდი არმიისთვის ესოდენ საყვარელი, როგორც იუბილარი ნანა ფაჩუაშვილია. ის 80 წლის შესრულდა! გაგიკვირდათ, არა?! თავად არ მალავს და მეც ამიტომ დავასახელე ასე პირდაპირ. ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ეს პოპულარობა და სიყვარული მხოლოდ სცენიდან, ჩვენი სათაყვანებელი რუსთაველის თეატრის სცენიდან მოიპოვა.

კინოში ნაკლებად გაუმართლა, ერთ-ერთ ინტერვიუში ისიც ბრძანა – ყოველთვის ნაკლებად მაინტერესებდა, ვიდრე თეატრიო. მე არაერთხელ დამიტოვებია დარბაზი მისით აღფრთოვანებულს – თუნდაც „გუშინდელნის“ ან „ბერნარდა ალბას სახლის“ შემდეგ, ან თუნდაც „შეშლილი, შეშლილი ახალი წელი“ გავიხსენოთ... თითქოს საკმაოდ სუსტი პიესა იყო, საშუალო დადგმაც, თუმცა იყო არტისტი, რომელიც არა მარტო გაყურებინებდა სპექტაკლს, არამედ ფოიერვერკებსაც გთავაზობდა სცენიდან. აღარაფერს ვამბობ სატელევიზიო „ჯაყოზე“ და სპექტაკლ-შედევრზე „რიჩარდ მესამე“. ან კიდევ „გასაღები“, ან „ტიტუს ანდრონიკუსი“, თუნდაც „დაკრძალვა კალიფორნიაში“, ანდა „ეს თავისუფალი პეპლები“... რომელი ერთი გავიხსენო, თორემ მე „ხანუმაც“ მახსოვს და მისი ნათამაშევი სონაც!!!

ახლა სხვა სივრცეებში? ზუგდიდის „თავადის ქალი მაია“ როგორი იყო? ან ახმეტელის თეატრის კლარა ცეხანასიანი, ან თუნდაც ქეთი დოლიძის სპექტაკლში „დილა მშვიდობისა, ასდოლარიანო“ ნამდვილი სცენის დიდოსტატის ნამუშევარი იყო. „თამაშის დასასრულის“ პრემიერა მისთვის უმძიმეს დღეებს დაემთხვა და რა ბედნიერებაა, რომ ეს დასასრული რეალურ ცხოვრებაშიც არ მოხდა, იგი კვლავ ენერგიულად შრომობს, იღვწის, ქმნის.

დიდხანს, ძალიან დიდხანს უნდა იყოთ იმისთვის, რომ ახალი შექმნათ ქალბატონო ნანა! თქვენ თქვენი ერთგული მაყურებელი გელოდებათ ყოველ ახალ როლში და ეს მსახიობისთვის ყველაზე დიდი წარმატებაა. კიდევ ერთხელ გილოცავთ!

ერეკლე დეისაძე ორბელიანის მოედანზე სიმღერისთვის გააკრიტიკეს

მომღერალმა ერეკლე დეისაძემ ორბელიანის მოედანზე კონცერტი გამართა, რამაც საზოგადოების ნაწილში აღშფოთება გამოიწვია:

– ორბელიანის მოედანზე კონცერტი მქონდა, რასაც პროგრესულებად წოდებულ მცირერიცხოვან ნაწილში აღშფოთება მოჰყვა, სისტემის მნგრეველი მერიის სცენაზე მღერისო. ამაზე საჯაროდ იმიტომ ვწერ, რომ მათ რიგებში რამდენიმე ისეთ ადამიანს გადავაწყდი, ვინც პირადად მიცნობს და ჩემი ხასიათიც იცის, მაგრამ რატომღაც იმ ჯოგის ფერხულში არჩია ყოფნა, საიდანაც მენტორული ტონით თავს უფლებას აძლევენ მიმითითონ, სად მაქვს სიმღერის უფლება და სად არა.

პირველ რიგში, მსგავსი კონცერტები ჩემთვის იმით არის მნიშვნელოვანი, რომ უფასოა და არასრულწლოვანებს საშუალება აქვს მომისმინონ, მსმენელთა ამ კატეგორიას, იმ სივრცეებში, სადაც ჩემი კონცერტები ტარდება, წლოვანების გამო არ უშვებენ, ზოგს კი უბრალოდ 40 ლარი არა აქვს, რომ ბილეთი იყიდოს.

მათთან შეხვედრა და კონცერტზე მიღებული ემოცია ყოველთვის აღემატება თქვენს უარგუმენტო კრიტიკას. არჩევანსაც ყოველთვის მათ სასარგებლოდ გავაკეთებ მომავალში.

პარტიულად ანგაჟირებული სუბიექტები, დიდი ხანია ჩემ მიმართ მტრულად არიან განწყობილი და იმხელა ბოღმას ატარებენ, მომენტს არ უშვებენ, როცა ამის საშუალება აქვთ. ცდილობენ ჩემი ლანძღვით მიკრო ბაბლური ვნებები დაიცხრონ და პროგრესულად წოდებულთა კლასტერში მოხვდნენ, სადაც კომფორტულია ყოფნა, რადგან ეს კლასტერი დაცლილია პასუხისმგებლობისგან და აზროვნებისგან, მუდმივად მსხვერპლს ეძებენ, რომ მათი დამცირების ხარჯზე, საკუთარი უპირატესობა აჩვენონ. მოკლედ, ყველაფერს აკეთებენ, რომ ვერ გაიზარდონ.

ასეთი ხალხი კი ძალიან მოსაწყენია და ბუნებრივია, არც მათი აზრი გაინტერესებს საკუთარ თავზე.

უკაცრავად, რომ ბაბლის არტისტი არ ვარ.

ამის სურვილი არასოდეს მქონია, ჩემი მუსიკა ყველასია და არა კონკრეტული კლასტერის, რომელსაც ქვეყნის გადარჩენაზე აქვს პრეტენზია, მაგრამ საკუთარ თავსაც ვერ შველის, ბაბლის ჟანდარმერიის შიშით პირში წყალი აქვს ჩაგუბებული და ურჩევნია მარტივი ემოჯებით გამოხატოს მისი ვინმესადმი კუთვნილება. ზედმეტი შეკითხვების გარეშე.

მეგობრებო, ერეკლეს სი.ზე კიდია თქვენი ჭინთვები და ყოველთვის თვითონ გადაწყვეტს, სად მივა სამღერლად, რომელი ტელევიზიის რომელ გადაცემაში დაჯდება და ვის კითხვებს გასცემს პასუხს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სპორტი

ფეხბურთს მეფე მოუკვდა – პელეს დღეს დაკრძალავენ

ბრაზილიაში დიდი გლოვაა... და არამარტო ბრაზილიაში – მსოფლიო ფეხბურთმა ლეგენდა, მისი უდიდებულესობა პელე დაკარგა. „ფეხბურთის მეფე“, რომელმაც მსოფლიოს საფეხბურთო ეპოქა შეუქმნა და ტახტზე ავიდა, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა!

პელე ბრაზილიასთან ერთად სამჯერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი – 1958, 1962 და 1970 წლებში. ეს აქამდე არავის მოუხერხებია. 1999 წელს, დიეგო მარადონასთან ერთად, საუკუნის ფეხბურთელის ჯილდოც მიიღო.

პელეს 2021 წელს მსხვილი ნაწლავის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. ქომაგებს თავად ბოლომდე ამხნევებდა და ამბობდა, რომ კარგად იქნებოდა. ნოემბრის ბოლოს ცნობილი გახდა, რომ მას ქიმიოთერაპიაც ვეღარ შველოდა. მეტასტაზები მთელ ორგანიზმში გავრცელდა, ბოლო ორი კვირის მანძილზე კი, ნათესავები პელეს უკანასკნელად სანახავად მიდიოდნენ.

82 წლის ლეგენდარული ფეხბურთელი სან პაულუში, ალბერტ აინშტაინის სახელობის საავადმყოფოში იყო მოთავსებული. ასე იყო დღემდე, საიდანაც ქალაქ სანტუსის სტადიონ „ვილა ბელმიროზე“ გადაასვენეს. სასახლე მოედნის ცენტრში იყო განთავსებული. გამოთხოვების ცერემონია ბრაზილიის დროით დილის 10 საათიდან დაიწყო და დღე-ღამის განმავლობაში გაგრძელდა. ცერემონია ყველასთვის ღია იყო, მაგრამ სასახლესთან მიახლოება აკრძალული იქნა.

ლეგენდარულ ბრაზილიელ ფეხბურთელს დღეს დაკრძალავენ.

გამოსათხოვარ ცერემონიაზე პელეს პატივს სხვებთან ერთად მიაგებენ ბრაზილიის ხელისუფლების წარმომადგენლები, საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები, მოქმედი და ყოფილი სპორტსმენები.

ამის შემდეგ პროცესია სანტუსის ქუჩების გავლით სასაფლაო „მემორიალ ნეკროპოლ ეკუმენიკისკენ“ გაემართება, სადაც პელეს დაკრძალავენ, რომელსაც მხოლოდ ოჯახის წევრები და უახლოესი ადამიანები დაესწრებიან.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

განცხადებები

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

პირველი წრე კაკტუსმა და კავკასიამ დახურეს

კაკტუსი-ოლიმპი 68:96
(6:29; 21:16; 20:26; 21:25)

ჩემპიონატის ლიდერმა უშანსოდ წააგო ოლიმპთან, რომელიც წინა სეზონის ფინალისტია და გულში ამ შედეგის ჩემპიონობამდე გაუმჯობესება ამოუჭრია.

ასეთი თამაშით, ოლიმპს ოლიმპზე ასვლის შანსი აქვს. დავით როგავას გუნდმა ლამის პირველ მეოთხედშივე გაიფორმა გამარჯვება გუნდთან, რომელსაც მიმდინარე სუპერლიგაში მხოლოდ 1 დამარცხება ჰქონდა. საწყის 10 წუთში ოლიმპმა კაკტუსს 29:6 მოუგო, 23-ქულიან ლიდერობას მეორე ათწუთეულში 5-იც მიამატა და დიდ შესვენებაზე ვალმოხდილი გავიდა.

რა უნდა მომხდარიყო, რომ ოლიმპს 31-ქულიანი ლიდერობა გაენიავებინა?! არც არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ გუნდმა თამაში დამაჯერებელ გამარჯვებამდე მიიყვანა – 96:68.

ოლიმპს 31 ქულით დრუ კუქსჰაუსენმა ულიდერა; 28 ქულა ლინტონ ესლაისის ანგარიშზეა; ქართველი კალათბურთელებიდან 14 ქულითა და 6-6 მოხსნა-დაფარებით გიორგი ტურძილაძე გამოირჩა; გივი ბაქრაძის ანგარიშზე 13 ქულა და 8 პასი დაგროვდა; კაკტუსში სამმა კალათბურთელმა – მერაბ ბოქოლიშვილმა, მაილს დანიელსმა და ბექა ლომაშვილმა 10-10 ქულა მიითვალეს.

კავკასია-ბათუმი 69:99
(16:24; 12:30; 22:26; 19:19)

ცხრილის ერთ-ერთი ლიდერი კავკასია ერთ-ერთ აუტსაიდერ ბათუმს დაუხვდა და ისე დამარცხდა, რომ წარმატების შანსი არ ჰქონია. სუპერლიგაში ნებისმიერ გუნდს აქვს შანსი ლიდერი დაამარცხოს, როგორც ეს ბათუმელებმა გააკეთეს და ამ გამარჯვებით ცხრილის შუაში გამაგრდნენ.

რა იყო ბათუმელთა წარმატების მიზეზი? რა თქმა უნდა, ბათუმელებმა დიდებულად ითამაშეს, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ კავკასიამ თამაში სრულად ჩააგდო. ეს გახლდათ ბექა წივწივაძის გუნდის ყველაზე ცუდი მატჩი ამ სეზონში. ბათუმელებმა თავიდან რომ მოიპოვეს ლიდერობა, რაც დრო გადიოდა, უპირატესობას სათავისოდ ზრდიდა. პირველი პერიოდი ზღვისპირელებმა 8 ქულით მოიგეს, მეორეში კი მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობეს და ათწუთეულის 30:12 მოგებით დიდი შესვენებისთვის 26 ქულით დაწინაურდნენ.

მეორე ნახევარში ვითარება არ შეცვლილა. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა ბათუმელებმა ტემპი არ დაადგეს და მათმა უპირატესობამ 30 ქულას გადააჭარბა. აქ კი ყველაფერი ცხადი გახდა. ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა გამარჯვება გაიანაღდა და გამარჯვებამდეც იოლად მივიდა. საბოლოოდ ბათუმელებმა 99:69 მოიგეს.

ზღვისპირელებს 28 ქულით კაილი რიდლიმ ულიდერა; დერიკ ნიუტონმა 20 ქულა მიითვალა; სოსო გოგნაძის ანგარიშზე 16 ქულა და 18 მოხსნა დაგროვდა; კავკასიაში 14 ქულით ლევან გოგიჩაიშვილი გამოირჩა; კრის მაკნილისა და ჯასტინ ფორესტის ანგარიშზე 12-12 ქულა დაგროვდა.

რუსთავი-თსუ 82:79
(21:24; 18:14; 27:19; 16:22)

დაძაბული, დრამატული და ემოციებით სავსე მატჩს რუსთავის ქიმიკოსთა დარბაზმა უმასპინძლა. სუპერლიგის სატურნირო ცხრილში გვერდი-გვერდ მყოფი, თანაბარი ქულების მქონე გუნდები ერთმანეთს გამარჯვების მოსაპოვებლად „შეასკდნენ“. ანატოლი ბოისას გაწვრთნილმა რუსთავმა ლექსო ღაფანაშვილის თსუ-ს უმასპინძლა და საფინალო სირენის გაჟღერებამდე 4 წამით ადრე ღუკა ბულაშვილის სამქულიანის წყალობით 82:79 გაიმარჯვა.

უნივერსიტეტელებმა ლამის შეუძლებელი შეძლეს. ერთი პერიოდი 14 ქულით ჩამორჩენილებმა მატჩის დასრულებამდე 30 წამით ადრე ანგარიშიც გაათანაბრეს, მაგრამ სამქულიანი მიიღეს და...

თანაბარი პირველი ნახევრის შემდეგ, დიდი შესვენების შემდეგ მასპინძლებმა უპირატესობა მოიპოვეს. გუნდური და, რაც მთავარია, სწრაფი თამაშით რუსთაველებმა მეტოქე დაჩაგრეს და 14 ქულით – 60:46 დაწინაურდნენ. გუგა პატაშური და აივერი დიგსი ფარქვეშ, ხოლო პერიმეტრიდან ტრეი კროფტი, ღუკა ბულაშვილი და რევაზ როგავა მეტოქეს მაქსიმალურად ავიწროებდნენ, ქულას ქულაზე იხვეჭდნენ.

ღაფანაშვილმა წუთშესვენებითა და თამაშის გადაწყობით მოახერხა მასპინძლების შეტევების განეიტრალება და ბოლო პერიოდს 9-ქულიანი ჩამორჩენით შეხვდა. თსუ არ ნებდებოდა და ჩამორჩენას ნელ-ნელა კვეცავდა. ხან გიორგი ცინცაძე გაისროდა შორიდან ზუსტად, ხან ბრაიან დოუსონი და ანგარიშში სხვაობა 4-8 ქულის ფარგლებში მერყეობდა. ბოლო წუთებზე მოვლენები დრამატულად განვითარდა, რუსთაველთა ამერიკელმა ღეგიონერმა, ტრეი კროფტმა სამქულიანი ააცილა, ბექა ბექაურმა კი სწრაფ შეტევაში ჩააგდო და დასრულებამდე 40 წამით ადრე ბექაურმა ჩამორჩენა 2 ქულამდე შეკვეცა – 77:79. თსუ-მ პრესინგს მიმართა და დოუსონმა ლევან ბაბილოძეს ჩაუჭრა, სწრაფი შეტევა კი გიორგი ცინცაძემ გამთანაბრებელი ორქულიანით დაასრულა. რუსთაველებმა სწორი ტაქტიკით ითამაშეს, შეტევისთვის განკუთვნილი დრო ბოლომდე ამოწურეს და სასროლ პოზიციაზე გასულმა ბულაშვილმა სამქულიანი ჩააგდო – 82:79. თსუ-ს შესატევად 4 წამი დარჩა, წუთშესვენებაზე შეტევაც დაგეგმა, მაგრამ რუსთაველთა მჭიდრო დაცვის ფონზე მიხეილ ბერიშვილის სამქულიანი მიზანს ასცდა.

რუსთაველთაგან 19 ქულით ბომბარდირი გუგა პატაშური გახდა; 17-17 ქულა ღუკა ბულაშვილმა და ტრეი კროფტმა მიითვალეს; თსუ-ში 22 ქულითა და 8 მოხსნით საუკეთესო იყო ბექა ბექაური; 18 ქულა დააგროვა მიხეილ ბერიშვილმა; გიორგი ცინცაძემ კი, შეხვედრა 10 ქულითა და 11 პასით დაასრულა.

დელტა-ქუთაისი 77:88
(18:19; 19:27; 21:11; 19:31)

დელტასა და ქუთაისის თბილისური დაპირისპირება იმერული გუნდის გამარჯვებით დასრულდა. არადა, გასული სეზონის ჩემპიონი იმერული გუნდი გულშემატკივართათვის მოულოდნელად ცხრილის ბოლოში იმყოფება და საკადრო პრობლემებს განიცდის. სექტემბერში მოწვეული რამდენიმე ღეგიონერის გაშვების შემდეგ ქუთაისმა ახალი უცხოელები დაიმატა. მიუხედავად ამისა, სტუმრებმა თბილისში ჩასვლა სრული შემადგენლობით ვერც ამჯერად შეძლეს, მაგრამ დაძაბულ თამაშში დელტას დამარცხება მაინც მოახერხეს.

დაპირისპირება თავიდანვე საინტერესო რომ იქნებოდა, ქუთაისელების პირველივე წამებზე ჩაგდებულმა სამქულიანმა და დელტას მომენტალურმა პასუხმაც გვიჩვენა. ამის შემდეგ ლიდერი მუდმივად იცვლებოდა, მცირე უპირატესობით წინ ხან გურჯაანელები, ხანაც ქუთაისელები გადიოდნენ. მეორე პერიოდის 19:27 წაგების შემდეგ დელტას თითქოს თამაშში დაბრუნება უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ ირაკლი ძიძიგურის გაწვრთნილმა გუნდმა მეორე ტაიმი დამაჯერებლად დაიწყო და მესამე მეოთხედში მეტოქეს 10 ქულით გაუსწრო. ქუთაისელებმა თამაშში გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე მოახერხეს. მათი ლიდერების მიერ ზედიზედ ჩაგდებულ 3-ქულიანებს დელტას მოთამაშეებმა სათანადოდ ვერ უპასუხეს. სტუმრები შესამჩნევი უპირატესობით დაწინაურდნენ და საბოლოოდ 77:88 გაიმარჯვეს.

ქუთაისელების რიგებში აუცილებლად უნდა გამოვარჩიოთ ღუკა მაზიაშვილი, რომელმაც თითქმის შეუცვლელად ითამაშა და თავის გუნდს 29 ქულა მოუტანა; 18 ქულა და 11 მოხსნა მიითვალა ქრისტოფერ უერმა; თავის მხრივ შედეგიანად გაისარჯა დელტას უკანახაზელი ოთარ ფხაკაძე, რომელმაც 22 ქულა მიითვალა; 15 ქულა საკუთარ გუნდს ეივი ტუმერმა შესძინა.

ტიტები-ვერა 82:69
(10:16; 25:12; 22:15; 25:26)

ბესიკ ლეჟავას გაწვრთნილმა ტიტებმა კონკურენტი ვერა დაამარცხა და სამმატჩიანი უიღბლო სერია შეწყვიტა. ამ გუნდებს მიმდინარე სუპერლიგაში ყველაზე ცოტა – 2-2 მატჩი ჰქონდათ მოგებული და ბოლო ადგილებს იყოფდნენ. შესაბამისად, ორივე მათგანისთვის გამარჯვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბესიკ ლეჟავასა და ლევან ჯაფარიძის გაწვრთნილმა ტიტებმა მეტოქე დამაჯერებლად – 82:69 დაამარცხა და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა.

არადა, მატჩი ვერელთა შედეგიანი თამაშით დაიწყო. დავით გასიტაშვილის გაწვრთნილმა ვერელებმა დებიუტში 9-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს. მარტის კიმბროს სამქულიანის შემდეგ ვერა 13:4 დაწინაურდა, მაგრამ ტიტების პასუხი მყისიერი და შედეგიანი იყო. მოედანზე გამოვიდა ლიუკ მოიერი, რომელმაც ტიტების შეტევებს სისწრაფე და შედეგიანობა შემატა. პირველი პერიოდი ვერელებმა 16:10 მოიგეს, თუმცა მეორედან ტიტებმა მატჩზე სრული კონტროლი დაამყარეს და მალევე გალიდერდნენ.

მეორე პერიოდი ტიტებმა 13 ქულის სხვაობით – 25:12 მოიგო და დიდ შესვენებაზე ხელჩასაჭიდი ლიდერობი გავიდა. ლეგიონერებთან – ღუკ მოიერთან და კვენტინ დევისთან ერთად ტიტებს აკაკი ლომოურიც ლიდერობდა. მესამე პერიოდში ლეჟავას გუნდმა შედეგიანი თამაში გააგრძელა და ლიდერობამ 20 ქულას გადააჭარბა. გამარჯვებულის ვინაობაც აქ გაირკვა. ვერელებს თამაშის გადასარჩენად არც დრო დარჩათ და არც რესურსი.

გამარჯვებულ ტიტებს 17-17 ქულით დევისმა და მოიერმა ულიდერეს; ლომოურმა გუნდს 16 ქულა შეაშველა; გუჯა ბირკაიას ანგარიშზე 10 ქულა და 13 მოხსნა დაგროვდა; ვერაში 26 ქულით საუკეთესო იყო ღუკა ზაქრაძე.

სატურნირო ცხრილი:

1.კაკტუსი	10	8	2	778-742	18
2.კავკასია	10	8	2	805-777	18
3.ოლიმპი	10	7	3	835-777	17
4.რუსთავი	10	6	4	844-814	16
5.თსუ	10	5	5	811-783	15
6.დელტა	10	5	5	794-774	15
7.ბათუმი	10	4	6	862-851	14
8.ქუთაისი	10	4	6	818-854	14
9.ტიტები	10	3	7	820-845	13
10.მეგა	10	3	7	740-812	13
11.ვერა	10	2	8	770-848	12

ფეხბურთს მეფე მოუკვდა – პელეს დღეს დაკრძალავენ

დასაწყისი მე-6 გვერდზე

აქვე უნდა ვთქვათ, რომ პელეც და სასაფლაოც გინესის რეკორდების წიგნშია შეყვანილი: „მემორიალ ნეკროპოლ ეკუმენიკა“ გინესის რეკორდების წიგნში შეტანილია, როგორც მსოფლიოს უდიდესი ვერტიკალური სასაფლაო, რომელიც 32 სართულს ითვლის; პელე კი, ამავე წიგნში მსოფლიოში ყველაზე მეტი გოლით არის შესული – 1.279.

პელეს გარდაცვალებას გლოვობს ყველა და მედიის ერთ-ერთი მთავარი თემაა. წამყვანმა გამორჩეულმა გამოცემებმა პელეს ასეთი ეპითეტები უძღვნეს:

ფეხბურთის უკვდავი მეფე;
სპორტის და ქვეყნის სიმბოლო;
ფეხბურთის ყოვლისმომცველი სიმბოლო;
დიდებულთა შორის დიდებული;
ფეხბურთის ხელოვანი;
ფეხბურთის მეფე მოკვდა;
პელე უსასრულოა;
ყველა სტადიონის მეფე;
თამაშის ღმერთი;
მსოფლიო ფეხბურთმა იმპერატორი დაკარგა;

და ბოლოს, არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის სამძიმარი, რომელმაც სოციალურ ქსელებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით უდიდესი კამათი გამოიწვია.

– არგენტინის ფეხბურთის ასოციაცია, მისი პრეზიდენტის კლაუდიო ტაპიას სახით, ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღეგენდარული ბრაზილიელი ფეხბურთელის, ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშის, პელეს გარდაცვალების გამო, გულში იკრავს მის ოჯახსა და მთელ ბრაზილიას.

ძნელი მისახვედრი არ არის, რა არის ამ ტექსტში წინააღმდეგობრივი. ეს გახლავთ ფრაზა – ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი. ცხადია, არგენტინელებს სამძიმრის წერილში შეეძლოთ კამათისთვის გვერდი აევლოთ – თუ ვინ არის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

1 იანვარი

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ინგლისი. ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲝᲜᲘ

ტოტენჰემი-ასტონ ვილა 0:2
ნოტინგემი-ჩელსი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.არსენალი	16	14	1	1	40-14	43
2.სიტი	16	11	3	2	44-16	36
3.ნიუკასლი	17	9	7	1	32-11	34
4.მანჩესტერი	16	10	2	4	24-20	32
5.ტოტენჰემი	17	9	3	5	33-25	30
6.ლივერპული	16	8	4	4	33-19	28
7.ფულემი	17	7	4	6	29-27	25
8.ჩელსი	16	7	4	5	20-18	25
9.ბრაიტონი	16	7	3	6	28-24	24
10.ბრენტფორდი	17	5	8	4	27-27	23
11.კრ.პალასი	16	6	4	6	17-21	22
12.ასტონ ვილა	17	6	3	8	19-25	21
13.ლესტერი	17	5	2	10	26-30	17
14.ლიდსი	16	4	4	8	23-29	16
15.ბორნმუთი	17	4	4	9	18-36	16
16.ევერტონი	17	3	6	8	13-20	15
17.ვესტ ჰემი	17	4	2	11	13-22	14
18.ნოტინგემი	17	3	5	9	12-34	14
19.ვულვზი	17	3	4	10	10-26	13
20.საუთჰემპტონი	17	3	3	11	15-32	12

ინგლისი. ჩემპიონიობა

ბლექბერნი-კარდიფი 1:0
ბლექპული-სანდერლენდი 1:1
ქოვენთრი-ბრისტოლი 1:1
მილუოლი-როტერჰემი 3:0
ჰადერსფილდი-ლუთონი 1:2

საფრანგეთი. ლიგა 1

ანჟე-ლორიანი 1:2
მონაკო-ბრესტი 1:0
ნანტი-ოსერი 1:0
ტულუზა-აიაჩო 2:0
ლიონი-კლერმონი 0:1
ლანსი-პსჟ 3:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	17	14	2	1	46-13	44
2.ლანსი	17	12	4	1	29-11	40
3.მარსელი	16	10	3	3	32-14	33
4.მონაკო	17	10	3	4	33-23	33
5.რენი	16	9	4	3	32-17	31
6.ლორიანი	17	9	4	4	28-24	31
7.ლილი	16	9	2	5	29-23	29
8.ლიონი	17	7	3	7	27-21	24
9.კლერმონი	17	6	4	7	20-25	22
10.ნიცა	16	5	6	5	15-17	21
11.რეიმსი	16	4	8	4	19-22	20
12.ტულუზა	17	5	4	8	23-33	19
13.მონპელიე	16	5	2	9	26-29	17
14.ნანტი	17	3	8	6	18-24	17
15.ტრუა	16	3	6	7	26-31	15
16.აიაჩო	17	4	3	10	15-26	15
17.ბრესტი	17	3	4	10	18-33	13
18.ოსერი	17	3	4	10	16-35	13
19.სტრასბური	16	1	8	7	18-28	11
20.ანჟე	17	2	2	13	16-37	8

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ᲯᲭᲝᲡᲕᲝᲭᲘᲥᲘ Ბ



შვეულად: 1. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 2. საოლქო ცენტრი უკრაინაში; 3. რომელიმე ადგილის გეოგრაფიული სახელწოდება; 4. მხარე ავსტრიაში; 5. ვენეციური ნავი; 6. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა; 11. საკათედრო ტაძარი თბილისში; 13. გერმანული ელექტროტექნიკური კომპანია; 14. ვაზის მავნებელი მწერი; 15. წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვრავს მონაწილე მხარეების ვალდებულებებს; 17. აეროპორტი პრაღაში; 18. ლიტერატურული თამაში წინასწარ მოცემული რითმებით იუმორისტული ლექსების შეთხზვა; 19. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი.

თარაზულად: 7. ქართველი მოგზაური, გინესის რეკორდსმენი; 8. მრავალი ფერის გამოყენება არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 9. რაიმე მოქმედების, საქციელის გამომწვევი მიზეზი; 10. საკონდიტრო ნაწარმი; 12. ექიმთა თათბირი დაავადების გამოსაკვლევად და მკურნალობის მეთოდების დასადგენად; 14. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 16. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 18. ტბა უნგრეთში; 20. ძველებური სანათი მოწყობილობა; 21. სამჭედლო იარაღი; 22. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, მოშვება; 23. მტკნარი წყლის დიდი ზომის თევზი; 24. ბუნებრივი ნაკრძალი კახეთში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ქედანი; 2. ხუცესი; 3. რვალი; 5. ხოტი; 6. რიშარი; 8. სტრიტი; 11. თეოდოლიტი; 13. მეეზოვე; 14. ბექაური; 15. გინიოლი; 19. ბორა.

თარაზულად: 1. ქვანახშირი; 4. სამხარი; 7. დარნიცა; 10. ათოსი; 9. ლეპტოპი; 12. ერისთავი; 16. ყინწვისი; 17. რეკორდი; 18. დარბაზობა; 20. ტროპარი; 21. ქუჯი; 22. ჩასპანდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ლენოვო; 2. აკაპელა; 3. ქრისტინე; 4. ჩიკანოსი; 8. ქონდაქარი; 9. დირიჟაბლი; 11. სინათლე; 12. ვაჩა; 14. ბრნო; 16. კულინანი; 17. დინდგელი; 19. მორიტა; 21. სარკე.

თარაზულად: 5. ერისიონი; 6. ბარითმია; 7. რევოლვერი; 10. კიმონო; 13. კორუსი; 15. ოჩიაური; 18. კულაკი; 20. მელონი; 22. შარლემანი; 23. ანეკდოტი; 24. აკვარელი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

3 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7020

ევრო — 2.8844

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.2581

100 რუსული რუბლი — 3.6770

ამინდის პროგნოზი 3 იანვრისათვის

კლოპი: „ლივერპულს პროგრესი აქვს“

ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მის გუნდს პროგრესი აქვს, რაც ბოლო რამდენიმე მოგებულ შეხვედრაშიც გამოჩნდა. კლოპის თქმით, ლივერპულს შეუძლია უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა, თუმცა წელს ეს იოლი არ იქნება: „მინდა, რომ გუნდმა გააგრძელოს მაღალ დონეზე თამაში. წელს ცუდად დავიწყეთ და დაშვებული შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ“.

მბაპე: „ლანსმა შეცდომები არ გვაპატია“

პსჟ სტუმრად ლანსთან დამარცხდა 1:3 და მატჩის შემდეგ პარიზელთა ლიდერმა კილიან მბაპემ აღიარა, რომ ლანსმა მის გუნდს შეცდომები არ აპატია და ისინი მოგებას იმსახურებდნენ. მბაპეს თქმით, პსჟ-მ თამაში კარგად უნდა გააანალიზოს: „სამწუხაროდ, დავმარცხდით, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი თამაშია და ჩვენ ბევრი მატჩი გველოდება, სადაც მხოლოდ მოგებაზე ვიფიქრებთ და შეცდომებს არ გავიმეორებთ“.

ლევანდოვსკი: „საკუთარ მოედანზე ქულები არ უნდა დავკარგოთ“

ბარსელონამ საკუთარ მოედანზე ესპანიოლის დამარცხება ვერ შეძლო და მატჩის შემდეგ რობერტ ლევანდოვსკიმ განაცხადა, რომ მისი გუნდი მსგავს შეხვედრებში უფრო ყურადღებით უნდა იყოს და ყველა ქულა ძალიან მნიშვნელოვანია: „ძალიან დასანანი ქულები დავკარგეთ, რადგან წინ რთული მატჩები გველის და ასეთ დროს აუცილებლად უნდა მოიგო. ვარჯიშს გავაგრძელებთ და საწადელს აუცილებლად მივაღწევთ“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ქალმა მისი მანქანის გამტაცებლებს მიაგნო და ჩაცხრილა



ამერიკის მისურის შტატის მცხოვრებმა ქალმა მიაგნო მამაკაცთა ჯგუფს, რომლებზეც ეჭვი ჰქონდა, რომ მისი ავტომობილის გამტაცებლები იყვნენ და ისინი ქალაქ სენტ-ლუისის ერთ-ერთ ავტოგასამართ სადგურზე ჩაცხრილა.

35 წლის დემეშ კოულმანს ორმაგი მკვლელობის, შეიარაღებული თავდასხმის და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით დანაშაულის ჩადენის სამ ეპიზოდში წაუყენეს ბრალი. პოლიციამ ქალი მას შემდეგ დააკავა, როდესაც მან 19 წლის დარიუს ჯექსონი და 49 წლის ჯოზეფ ფარარა მოკლა.

დაკითხვაზე ქალმა განაცხადა, რომ ავტოგასამართ სადგურზე იმისთვის მივიდა, რომ გამტაცებლებისგან საკუთარი ავტომობილი დაებრუნებინა. სათვალთვალო კამერების ჩანაწერებში ჩანს, რომ ქალმა ავტომობილის კარი გამოაღო, რომელშიც სამი მამაკაცი იჯდა და მათ ცეცხლი გაუხსნა. შედეგად ორი მათგანი ადგილზევე დაიღუპა, ხოლო მესამე, მიუხედავად იმისა, რომ თავის არეში დაიჭრა, ცოცხალი გადარჩა.

პოლიციის თანამშრომლებს ჯერ არ დაუდგენიათ, ქალის მიერ დაცხრილულ სამ პიროვნებას აქვს თუ არა კავშირი მისი მანქანის გატაცებასთან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

3 იანვრისათვის



ვერძი – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **კურო** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. მიმართეთ ძველ მეთოდებს. ექსპერიმენტები რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – დღის პირველი ნახევარი წარმატებული იქნება, თუ იმ საქმეს გააკეთებთ, რომელშიც კარგად ერკვევით. თავს ზედმეტად ნუ გადაიტვირთავთ. **კირჩხიბი** – ახლობლებს თქვენი დახმარება სჭირდებათ. დაეხმარეთ, მაგრამ ისე, რომ თქვენი პირადი ინტერესები არ დაზარალდეს. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა საქმიანი კონტაქტებისათვის, შემოქმედი ადამიანებისათვის. საღამო მეგობრების წრეში გაატარეთ. **ქალწული** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი. **სასწორი** – ზედმეტი თავდაჯერებულობაც და გაუბედაობაც დაგაზარალებთ. ზომიერება დაიცავით. **ღრმანაკელი** – კრიტიკული დღეა. განერვიულებული და გაღიზიანებული ხართ. ერიდეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენზე უარყოფით გავლენას ახდენენ. **მშვილდოსანი** – პლანეტა ვენერა რომანტიკულ ურთიერთობებში გეხმარებათ. განსაკუთრებით იღბლიანი დღეა ქალებისათვის. **თხის რქა** – იღბალი თქვენ მხარესაა. რასაც ხელს მოჰკიდებთ, იდეალურად გამოგივათ. ახალი იდეების განხორციელება წარმატებას მოგიტანთ. **მეწყალი** – სიყვარულში ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით თითოეული წამით. **თევზები** – ფინანსური ოპერაციები წარმატებით ჩაივლის. კომპრომისზე წასვლა დღეს აუცილებელია. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

ქალი ექიმს ურეკავს:

– ალო, ექიმო, ჩვენმა ბავშვმა ცოცხალი თაგვი გადაყლაპა!

– ახლავე გამოვდივარ. მანამდე კი პირი ფართოდ გააღებინეთ და ყველის ნაჭერი დაიჭირეთ, იქნებ თაგვი თავისით გამოვიდეს.

ადგილზე მისული ექიმი ხედავს, რომ დედა პირდაფჩენილი ბავშვის წინ ხამსას აქნევს აქეთ-იქით.

ექიმი:

– რას აკეთებთ, მე ხომ გითხარით, რომ ყველის ნაჭრით უნდა გეცადათ...

– ჰო, მაგრამ ახლა უკვე კატის გამოტყუებას ვცდილობთ...

•••

ქალი და მამაკაცი საუბრობენ. კაცი ქალს ეუბნება:

– სხვათა შორის, მე ფრინველების ექსპერტი ვარ.

– მართლა? მაგარია. და აბა იმათზე რას მეტყვით, ახლა ჩვენს თავს ზევით რომ დაფრინავენ?

– ყველა მათგანი ჩიტია.

•••

მამაკაცი მაღაზიის გამყიდველს ეუბნება:

– გუშინ ეს ყველი თქვენთან შევიძინე...

– და მერე, რაშია საქმე?

– თქვენ მითხარით, რომ შვეიცარიულიაო.

– დიახ, მასეა.

– მაშინ იქნებ მითხრათ, ის იქიდან იმპორტირებული თუ დეპორტირებულია?

•••

სახლში დაბრუნებულ მთვრალ ქმარს ცოლი უყვირის:

– ეგ ღვინო და არაყია შენი მტერი და მომსპობი...

– მერე რა გინდა, ქალო, გინდა, რომ მტერს შევუშინდე?

•••

ქმარი სახლში ელექტროგაყვანილობას აწესრიგებს და ცოლს ეუბნება:

– ერთი ის მავთული მომაწოდე, ძირს რომ აგდია.

ქალმა მიაწოდა.

– კაი დადევი, ე.ი. მაგაში დენი არ ყოფილა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

გურამ ბაღდოშვილს პიროტექნიკა აუფეთქდა

ქართულ სამზარეულოში ერთ-ერთი ცნობილ და გამორჩეულ შეფ მზარეულს გურამ ბაღდოშვილს საახალწლო პიროტექნიკა ხელში აუფეთქდა.

შეფს ექიმების დახმარება დასჭირდა და იგი კლინიკაში გადაიყვანეს. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა და შეფ გურამი თავს კარგად გრძნობს:

– ძვირფასებო, დიდი მადლობა, რომ შეწუხდით. კიდევ ერთხელ დაამტკიცა უფალმა ჩემდა მიმართ სიყვარული. ვარ მხნედ და ძლიერად. უფალი გვფარავდეს. ამინ.

„პრაიმ ჰაუსის“ მეორე სეზონი გურამ შეროზიამ მოიგო

რეალური შოუს „პარიმ ჰაუსის“ მეორე სეზონის გამარჯვებული გურამ შეროზია გახდა.

შოუს ფინალში გამარჯვებისთვის სამი კონკურსანტი იბრძოდა: გურამი, კოსტა და თამაზა. ფინალში მიღებული ხმები ასე გადანაწილდა: გურამი – 1 484 969 ხმა, კოსტა – 1 247 461 ხმა, თამაზა – 179 649 ხმა.

შოუს გამარჯვებულს საჩუქრად ბინა გადაეცა.

ტარიელ ხარხელაური: „ერთმანეთის სიყვარული დაგვაბედე ახალო წელო!“

პოეტმა ტარიელ ხალხელაურმა ახალი წლის დადგომა სრულიად საქართველოს ღია წერილით მიულოცა:

– ჩამოღრუბლული დღეა. ვფიქრობ. ასეთ ამინდში ფიქრს ვერსად გაექცევი. გავცქერი იკვლივის მთებს – გულისპირზე თხლად რომ გადაუფენიათ თოვლი და სდუმან. მიილია წელი. მძიმე, საშინლად მძიმე წელი სამყაროსათვის. არა მხოლოდ სამყაროსთვის – იმედისთვისაც. ამ წლის დადგომასაც ხომ უკეთესი მოლოდინით ველოდით, მაგრამ რა ქნას მარტო წელმა, თუ ჩვენს გასაწევ უღელსაც მას გავუხდით საჯაფაოდ. განა ეს შემზარავი ომი ამ წელს უნდა დავაბრალოთ?! ყველა უგუნურება ადამიანისა ამ წელს უნდა მივკერძოთ და ეს სისხლიანი ხელები მასზე შევიმშრალოთ?! რა ქნას საბრალო წელმა. განა არ სცადა, განა არ მოინდომა, მაგრამ ჩვენს დაუხმარებლად არაფერი გამოუვიდა. განა ამის გამო მხოლოდ მიმდინარე წელს უნდა ვუსაყვედუროთ, ბრალი დავდოთ – ჩვენი გასაკეთებელი შენ რატომ არ გააკეთეო.

მაშ სიმართლე სადღაა.

მინდა, ძალიან მინდა მოგილოცოთ ახალი წლის შემოსვლა, გითხრათ მშვიდობის მომტანი ყოფილიყოს ახალი წლის დადგომა, ჩემთვის და შენთვის, მხოლოდ ჩემი და შენი ქვეყნისთვის. განა ეს სიხარბის სურვილია! არა! რატომ ჩემი და შენი ქვეყნისთვის, განა მთელს დედამიწას არ გამოადგება, რომ ეს წელი თითოეულ ოჯახში, თითოეული ადამიანის გულში მშვიდობისა და სიყვარულის შემომტანი ყოფილიყოს. მშვიდობა ყოფილიყოს ჩვენი ოჯახისა და მთელი სამყაროს მეკვლე. პირველი საახალწლო სადღეგრძელოც მშვიდობისა დაგველიოს. მშვიდობიანი წლის დადგომას გილოცავთ და თუ რაიმე არ გამოგვივიდა, საყვედურიც საკუთარ თავს ვუთხრათ და მომავალ წელს მოვუბოდიშოთ, მადლობა გადავუხადოთ – მეტი გვინდოდა, ცდაც არ დაგვიკლია და ვერ შევძელით, მომავლისთვის მეტად მოვინდომებთ და მისალოციც მეტი გვექნებაო. დედამიწაზეც და ჩვენს გულებშიც ღმერთის დაბრუნების წელი ყოფილიყოს, ერთმანეთის შენდობისა და მიტევების წელი ყოფილიყოს. ერთმანეთის სიყვარული დაგვაბედე ახალო წელო! ერთმანეთისთვის გასამეტებელი სიყვარულით აგვივსე გული. დაიფარე და დაამშვიდე სული მბორგავი წუთისოფლისა. გავხსნათ კარნი გულისანი და დავეხმაროთ ახალ წელს ამ მეტისმეტად გამღვრეულ სამყაროში წუთისოფლის მოწესრიგებაში.

მინდოდა ეს საახალწლო მილოცვა იმედიანი და ხალისიანი ყოფილიყო, ერთიც და მეორეც მომავალი წლის დასახვედრად მოვამზადოთ. თქვენით სავსე და უთქვენოდ მტვერზე მცირე ტარიელ ხარხელაური.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

საცვლების ამარა მყოფმა მამაკაცმა მძარცველები გააქცია

ავსტრალიის ქალაქ გოლდ-კოსტის მცხოვრებმა, 50 წლის სტივ მიდლტონმა, რომელიც მხოლოდ ტრუსებში იყო გამოწყობილი, მძარცველები აიძულა შემთხვევის ადგილიდან გაქცეულიყვნენ. 26 დეკემბრის დილას მიდლტონს გაეღვიძა, ფანჯარაში გაიხედა და დაინახა, რომ ვიღაც მისი ავტომობილის კარს აღებდა. მან თავდაპირველად იფიქრა, რომ ის მისი ქალიშვილის ბოიფრენდი იყო.

– შემდეგ შევნიშნე, რომ მანქანის მეორე მხარეს კიდევ ერთი მამაკაცი გამოჩნდა და მაშინ გავიფიქრე: „ეშმაკმა დალახვროს, ჩემ გაძარცვას ცდილობენ“ – განაცხადა ავსტრალიელმა.

ამ დროს მიდლტონი სრულიად შიშველი იყო, ამიტომ მან მხოლოდ ტრუსების ჩაცმა მოასწრო და ქუჩაში გავარდა. ის გაქცეულ მძარცველებს დაეწია და ერთ-ერთი მათგანი მაისურით დაიჭირა. ამის საპასუხოდ დანარჩენი ორი დამნაშავე მისთვის ჯოხის და დანის დარტყმას შეეცადა. მამაკაცის თქმით, ამ შეხლა-შემოხლის დროს მან დანით მსუბუქი დაზიანება მიიღო. მიუხედავად მისი მცდელობისა, დამნაშავეებმა გაქცევა მაინც მოახერხეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 2. კუთხე საქართველოში; 3. ინდიელთა ნადირის ტყავის რბილი ფეხსაცმელი; 4. ჩინური ნავთობკომპანია; 7. ტკბილეულის დამზადების ოსტატი; 8. იტალია-შვეიცარიის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 12. ნათესავის, შთამომავლის ძველი ქართული სახელწოდება; 14. გზაგამტარი ჩქაროსნულ ავტობანზე; 16. ქალაქი იმერეთში; 17. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 19. ბრიტანული ტაქსი; 20. ქალაქი ჩეხეთში.

თარაზულად: 5. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 6. შვედეთის დედაქალაქი; 9. ტბა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 11. ფულის ერთეული ყაზახეთში; 13. დამარილებული და შებოლილი ღორია ხორცი; 15. ძველი ბერძენი დრამატურგი; 16. წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი; 21. აეროპორტი ბრიუსელში; 22. ქართველ მწერალ, კონდრატე თათარაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 23. ნიდერლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა